

899.962.1105

პ-82.

წლიწადი მესამე

პროლეტარებო ვეღა ქვეყნისა, შვერთლით!



პროფესორული მხარეობა

ქართული
საბჭოთაო

(26)

თებერვალი.

1929 წ.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის
ყოველთვიური ორგანო.

ბ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, ვ. ლუარსაბიძის, ა. მაშაშვილის, შ. რაფიანიძის
და დ. რონდელის რედაქციით.



ალიო მაშაშვილი

ლექსი თქმული საზეიგოდ და მიძღნილი მეგობრებისადმი

გთხოვთ, ამის შემდეგ,
ნუ მიწოდებთ ქართველ პატრიოტს,
რომ ვადიადო საქართველო
თავის უბნებით:
ის ამ გულშივე აღმართული
დგას საპატიოთ
როგორც სამშობლო
შრომისა-და
თავისუფლების!

ვდგვიარ მხარდამხარ
კოჭკაეშირის პირველ რიგში-და
მოწყეება ტალღა—
რამდენია? ვინ სთქვას, ვინ იცის:
მებრძოლ თვალეზზე
გამრავლებულ თვალეზს გვიშლიდა



ქართველნი
ბიზლიწთქა

მზიარული-და
მოკრიალო დღენი ტფილისის!

მოდის ალღუმი,
უკან მასსა მოსდევს. გროვებათ,
ქარხნის მიღებიც
პარმონიულ შრომას მღერიან:
განვლილ ბრძოლების
გამარჯვების მოსავონებლათ,
ეს თებერვალი
ხომ იგივე ოქტომბერია?

ეი, თებერვალო,
განახლების თვეო დიაღო,
მშენებლობის და
ინდუსტრიის
შენ ხარ სადგური,
შენს მოძრაობას
დღეს უბრალო ქუჩაც გვიამბობს
ქვეებისგან მოკრილ
სტრიქონებით გადასტამბული!

ჩვენ ვაშენებდით
გზებს, ხიდეებს: აყრილ-დაშლილებს,
კვლავ მუშაობდენ
მანქანები განახლებულად,
აჰა, ტფილისის
განახლებულ ნიადაგშივე
უზარმაზარი
შენობები ამაღლებულა!

ამ დროს, ამ ხალხში,
ამ დროშების ზღვას რომ გახედავ,
როგორ იქნება
გაურბოდე რიგს და
მეგობრებს?

არც კაცი ვარგა:
იყოს ქვეყნად მოქალაქე-და
ლამურასავით
მზის ამოსვლას ემაღებოდეს?!

მოდის აღლუმი,
და რიგებით რიგებს მისდევენ,
ჩემო ელიზბარ,
კონსტანტინე,

კარლო, ვალიკო,
ეს ჩვენი რაზმიც განუყრელი
დარჩა ისევე

რომ ბრძოლის დროსაც

სიყვარული სისხლში გაეიყოთ!



ქართული
საქმიანო

ჩვენ გვიბრძოლია

და ვიბრძოლებთ თავდადებულად,

აჰა, ცხოვრების მოედანიც

ხომ გაშლილია,

ხრამ-და ბარდაბარ

უგვართომოთ დაკვადებულვართ,

ჩვენი ამღზრდელი

საქართველოს კომკავშირია!

მხოლოდ გვახსოვდეს დავალება

ამხანაგური,

ეგ არი: საქმე

და საქმიან სიტყვას უვლიდეთ,

რომ იგი სიტყვა—

მშენებლობის ქვა და

აგური

იყოს გულიდან

მოზიდული სიყვარულითვე!

მტერი ბევრი გვყავს,

მაგრამ ხალხის ზღვა თუ აღელდა—

ძველო ქვეყანავ,

გელოდება სისხლის წვიმა შენ:

ჩვენც მოვიგონებთ

შემონახულ იარაღებს-და

კვლავ დროშებივით წამოვდგებით

ხალხის წინაშე!



ქართველთა
წიგლისწერთა
კავშირი

მაშ, ასე ძმებო,
მოძრაობას მიყვებით ნიადაგ,
კვლავ ბრძოლებისკენ მიმდინარე
გახლავთ ჩვენი გზა:
ეს ჩვენი კადრიც ჯერჯერობით
პირველია-და
იგი პირველი მედროშეა
გამარჯვებისა!

მოსჩანს ტრიბუნა,
ჰა, ფილიპე აღლუმს ღებულობს,
ჩვენი სალამი
გამარჯვებულ ხალხის ბელადებს,
ეი, ტფილისო,
მშრომელთ მხრებზე ამალღებულო,
როგორ იქნება
შენი მკერდი დღეს არ ლელავდეს!

ჩვენ შორეთიდან
სხვა ერებიც გვესალმებიან,
ზუის ჰაერი
და რადიოს მოაქვს ტალღები,
ისმის ხმაური,
ორკესტრების ბასრი ხმებია
და ყოველ მხრიდან
მოძრაობენ დემონსტრანტები!

სალამი თქვენდა,
შრომით გულ-მკერდ დაკოყრილებო,
თქვენს მოძრაობას
რა ხანია მტრობდენ, ომობდენ,
როგორ იქნება
რისხვიანი ბრძოლა ინებოთ
და იგი ბრძოლა
გამარჯვებით არ დაბოლოვდეს?

თქვენ ბრძოლებიდან
შრომისაკენ ხარბათ მოზღვავედით,

აგებთ შენობებს,
ამუშავებთ ქარხნებს, სადგურებს,
მეც—კულტურული მშენებლობის
ერთი ოსტატი—
ვდგევარ თქვენს შორის
და ვალაგებ აგურს აგურზე!



ქართველი
წიგლისმწიქთქა

ბორგავს ტფილისი
მავეთულებით გადახლართული,
ქარხნის მილებიც,
ჰარმონიულ შრომას მღერიან,
მეც დროშასავით
მეგობრებში ვარ აღმართული,
თებერვალი ხომ
საქართველოს ოქტომბერია!

მაშ, ასე ძმებო,
რიგებ შორის ვიართ ნიადაგ,
რომ საპიტინგო მოედანზე
მწყობრად მივიდეთ:
მოძრაობს ხალხი,
ორკესტრების გრიალია—და
კვლავ ტრიბუნიდან
მოწოდებით ამბობს თილიბე!

თებერვალი. 29 წელი.

მოხა ვაკელი

ფიქრი თანამედროვეობაზე

ეს არც ნალელიან გულის სიტყვაა
და არც მყვირალი თერგის დინება,
უბრალო არის, როგორც მზე დილის
ოქროსფრად მინდვრებს რომ ეფინება...



ქართველნი
ბიზლირთჳსა

გულს აფოლადებს... მისი ალერსით
ფუჭი ოცნება მიიმსხვრ-მოიმსხვრა,
და მეც ვუცქერი მშობელ ქვეყანას
სალი თვალებით ახალ დროისა.
შენდება მხარე, მშვენდება არე,
არ არის იგი, რაც იყო გუშინ,
აზავთებული და დაძაფული
შეჯიბრებულან გრძნობები გულში.

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!

ჩვენ ხომ შემთხვევით არავინ გვიყვარს,
და არც შემთხვევით გვძულს ჩვენ არავინ,
ნათელი არის ყველა ზრახვების
კილო კეთილიც და შემპარავიც,
რადგან გრძნობებსაც სჭირია ხედნა—
ვით იორლა ცხენს ქედვა ნალებით,
რომ არ ვუცქერდეთ წინაპართ საქმეს
ჩვენ მუდამ შიშით და მოკრძალებით.
რისთვის? სათქმელი განა ჩვენ არ გვაქვს?
რატომ? განა ჩვენ დავკარგედ გზები?!
ხომ ხედავთ, როგორ გუზგუზებს ქურა
და ოფლის ტბებად დაღვრილი ზღვები!

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!

დღეს ყველგან ხმაა, ყველგან ქმედობა,
არსად დუმილი კაეშნით საესე,
თვით გრიგალები ქარიშხალისა
მიაქროლებენ ხომალდებს ზღვაზე—
და რა აზრი აქვს გადვუდგეთ წინსვლას,
როცა ჩვენს სურვილს არც კი აქვს ბოლო;
წინ, ისევ მედგრად, ჩვენ ამ ბრძოლებში
მძიმე ბორკილებს დავკარგავთ მხოლოდ!

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!



ქართული
საქმიანობა

ვინც რა უნდა სთქვას, არაფერია,
დე, შრომის საქმე წავიდეს წალმა!
ჩვენ იმედს გვაძლევს აღმშენებლობით
აფეთქებული კლდეები ნალმად...
დაფშვნილ — დათხრილი მიდამოები,
რკინის მარაგი, ქვათა ზვინები—
და უზარმაზარ აუზებიდან
ნავთი რომ მოსჩქევს სწრაფი დინებით.
ეგ არის ჩვენი ძლიერი კუნთი
და მუხლსაც იგი ზედ აკერია,
როგორც ჩვენ წინსვლის სიმაღლის ზოლებს —
სტატისტიკა და ინჟინერია.

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!

ნუ შეშინდები, გაჰკარ, გაჰკვესე,
ჩვენ რას ვუყურებთ წინაპართ წესებს!
დღეს ძველებურად არ ვიბრძვით თოფით,
არამედ კლასის მძლე ნებისყოფით.
ეხლა გვჭირია ლომების ღონე,
უნდა ავსწიოთ ცხოვრების ღონე —
და არე მწირი ხრიოკ-სერება
უნდა ვაქციოთ ბედნიერებად.
ყოველ სუნთქვაზე, ყოველ დარტყმაზე
უნდა მოსჩქევდეს ლანქერი ღვრია,
მეტი სისწრაფე და მოძრაობა,
მეტი სიცოცხლე და ენერჯია.

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!

რას იმუქრებით, დროა შესწყვიტოთ
მავნე ძაბილი: ჰაის და ჰოის,
რაც არ იყვიროთ, არ შეჩერდება
აღმშენებლობა ახალი დროის.
ღვიძავს დეპოებს, სახელოსნოებს,
ღვიძავს ჩაქუჩებს, ფოლადის ხელებს,

და ორთქლმავალიც რკინებთან ერთად
გაჰკივის მწარედ გადათბრილ ველებს —
სად ძახილია შრომის მძლეობის,
სად ცხოვრებაა ძალონით სავსე,
ხშირი შეხვედრა და განშორება,
ისევ შეხვედრა ზავთიან გზაზე.



ქართული
საბჭოთაო

მაშ ავაჩქაროთ ძმებო სიარული,
მოდის ეპოქა ინდუსტრიალური!

ელიზბარ პოლუმოვსმინოვი

რკინის ძმები

XI*)

სოფლები დადუმდენ. სოფლები დაუჭიდენ. მისწყდა ხმები ლელ-
ვისა და ბობოქრობისა. გადუქროლა საშინელმა ნიავეჩარმა და დას-
წყვიტა ხეხილებს ყვითელიც, მწვანეც დამკნარი და დაუმკნარი
ფოთლებიც.

მამაკაცები მთებისა და ტყეებისაკენ ეშურებოდნენ, სიცოცხლის
შენარჩუნებას ფიქრობდენ. ცოლები და შვილები კი ცახცახით ელო-
დენ ქოხის კარების გაღებასა და შემომტვრევას.

მართლაც ცავერის სატუსალო ივსებოდა რაზმელებით და შემ-
დეგ ბორკილებ-გაყრილი მიჰყავდათ ქუთაისის ციხეში. მიდიოდენ
ისინი ნელი, დალილი და მძიმე ნაბიჯით ამ შორეულ დაუსრულე-
ბელ შარაზე და გულის დანწვრილებლად გაისმოდა ერთფეროვანი
ჩხრიალი რკინის რგოლებისა. რას არ ფიქრობდენ დამარცხებულნი
და დამცირებულნი, რას არ განიცდიდენ ეს სილალეს და თავისუფ-
ლებას მოწყურებული ადამიანები, როდესაც ყოველი ნაბიჯის გადად-
გმა აგონებდა მათ, რომ ისინი შებორკილნი იყვნენ. თითქოს ის მთე-
ბი, მათ ირგვლივ რომ იყო ამართული და ცა ტყვიის ნისლით დატ-
ვირთული პირქუშ დაღივით რომ გადმოწოლილიყო, იყო კედლები
და სახურავი უზარმაზარი ციხის, რომელშიც სიცოცხლე მოემწყვდი-
ათ. ეს დაუმთავრებელი, შორეული მანძილი სდუმდა, ფეხქვეშ ეგე-

*) იხ. „პროლეტარული მწერლობის“ № 1.

ბოდა თავისუფლებას, რომელიც ცეცხლსა და ტყვიას დაეწინააღმდეგებინა და მიჰყავდათ იარაღ ქვეშ.

დახრილი თავები, დაშვებული, მოწყვეტილი მკვლელები და ნაპერწკლებში ჩამწვარი თვალები უსიცოცხლობაში იჭრებოდნენ და მიჰყვებოდა დაძაგრულ მუხლებს იმ ერთფეროვანი ელარუნის ქვეშ, რომელიც აგონებდა ტკბილ ბავშობასაც, მწვავე ბრძოლისა და ოდეს-ღაც განცდილ სიხარულის წუთებსაც.

აქ ეს ტყვედქმნილები ხუნდებში მიემართებიან, იქ კიდეც, მთებსა და ტყეებში გახიზნულები მუხლებს იმტვრევენ კლდეებსა და ღრეებზე ტიტველი ცისა და ხრიოკი მთების ქვეშ; ქობებში კი ნაბრძოლებნი, დაქრილნი, ძალამიზილნი წვანან დატყვევების მოლოდინში და ისინი ფიქრობენ რომ ვერაფერი ვერ მოარჩენს მათ მტკიცეწულ იარაგს, მათ მწვავე კრილობას.

აიყვანეს ბარნაბაც სახლში. სისხლიდან დაცლილი ყოველ წუთს ელოდა შეიარაღებულ მოძალადეებს, რომ ანგარიში გაესწორებინათ დამარცხებულ მტრებისათვის.

გაბოროტებულ დოდოს თვალწინ ეხატა კენჭაძე, ანკესისებური თვალებით და ველური მზერით, საკუთარ ტკივილში ჩაწოლილი ველარ გრძნობდა სოფლის სიმწარეს, უბედურებას. საიდუმლოს არ ამხელს, მაგრამ პირველი გრძნობა და სიყვარული კი თან გააყოლა მან კენჭაძეს და ელის დოდო მას, როდის დაბრუნდება მთებიდან, რომ მოეტანოს სიხარული, ბედნიერება.

თენდება ამ სოფლებში დაღრუბლულად, მიდის დღე უფერულად და ღამდება მკვდრად, მოწყენილად.

ამ საზარი და საშინელი ბრძოლების შემდეგ გულჩათხრობილია ბარნაბა, ან როგორ არ იქნება მოწყენილად, როდესაც მძიმეა მიმავალი წუთები, სუნთქვა, მძიმეა ყოველი სიტყვა და ბგერა გულიდან ამომსკდარი.

შეგროვდენ ისევე ერთად ამ გაფანტული, აშლილი ოჯახის წევრები და ფარულად, გულის რომელიღაც კუნჭულებში უგიზგიზებთ სიამოვნების ნაპერწკალი, რომ ისევე ერთმანეთთან არიან, ერთმანეთის სუნთქვა ესმით. როგორ მკაფიოდ მოსჩანს მათ სახეებზე ეს კმაყოფილებისა და ერთმანეთის სიყვარულის გრძნობები. მათი საუბარი უსიტყვოა, — გამობარი მზერა და ღრმა ამოსუნთქვები, გონებაში კი უტრიალებენ როგორც დატვირთული ურმის თვლები ნანახი და განცდილი სურათები და ეს სურათები გამალებით სცვლიან ერთმანეთს.

რა სჯობია ეხლა ამ შემოდგომის მშფოთვარე ღამეს. რას წაიღებს ქარი გარეთ რომ სისინებს, რომ ღრიალებს, სახურავებს ყავრებს რომ აძრობს.

ფიქრობს ბარნაბა. ბაგეებზე უთრთის გამოუთქმელი უხმო სიტყვები: „რა დღეები გადავიტანე, რამდენის სიცოცხლე მიცანია გულბაჩაჩოქილი, რამდენი ამაყი ცქერა შემინიშნავს. არ იცის ქარმა რა მოსთვითონ ვქმნით უფრო ძლიერ ქარიშხლებს, ფოლადებს, რომ ჩვენი ნავს, წალეკვა რომ შეუძლია ხიშტებზე აგებული ქვეყნის, ოქროზე აშენებული კოშკების.“ ფიქრობს ბარნაბა და გუზგუზებს ბუხარი ხმელი, აღმოდებული შეშის ნაკვერჩხლებით და ჩასცვივინია ბარნაბას თვალები ცეცხლში ორი მოზრდილი ნალვერდალივით ანთებული, აბრწყინებული.

რა სჯობია ასეთ ქართულ მთიურ ღამეს, როდესაც ბუხარი გუზგუზებს და ტკივილებისგან სიამოვნებას განიცდი.

ზის სამუფებაზე წელში მოხრილი გიგა, მისი თეთრი, თოვლივით თეთრი წვერები მკერდს ეტმასნება, მარჯვენა ლოყით დაყრდნობია ხელგადაკრულ ყავარჯენს და სთვლემს... მოძრაობს მისი თავი, იხრება თანდათან ძირს და სთვლემს, მაგრამ გონება მაინც მუშაობს, გონება წარმოდგენებშია, გონებას არ სძინავს. მას ესმის ქარის ზუზუნიც, ნაკვერჩხლების ალთა დუდუნიც და გრძნობს იმასაც, რომ მის გვერდით საყვარელი შვილები სხედან, საყვარელი შვილები სუნთქავენ.

რა კარგია, რა ძვირფასია ასეთი ღამეები და მეტადრე ეს ღამე, რომელმაც მშობლიური სითბო, ღვიძლთა სისხლის ჩქეფა, საერთო დენად აალივლივა და ტკივილებში, კრილობებში სიამოვნება განაცდევინა.

და სთვლემს გიგა.

ქარის ქროლვას ეღვენება ბარნაბას მღელვარება.

იწვის, იფერფლება ცეცხლში დოდო, ეხუთება გული.

ოთახის კერი ეშვება დაბლა და ეყრდნობა ბუხრის ალებს, დგება უჩვეულო სიმშვიდე, სიწყნარე.

აყეფდა კართან ძაღლი. დააყოლა ზედ ღრენა და გრძელი შეუწავიტიელი ყმული.

რამდენიმე ხმა გამოეხმაურა ამ ყეფას და კიდევ ერთმა გასროლამაც გასცა პასუხი. ჯაჭვის ჩხრიალზე ჩაწვა და ჩაიკეცა ქობის სიმშვიდის ბრახმორეული გუშაგი და წერილ, პატარა ნაკადულად გადმოსკდა მის სხეულიდან თბილი სისხლი. ლულავდა თვალებს ძაღლი. თითქოს სიამოვნებდა მას ამ ცივ ქარიან ღამეში თბილ სისხლში ჩაწოლა და ეკროდა მიწას, უკანასკნელი ძაღლონით ილოკდა მწვავე კრილობას.

და კარი რომ შემოიღო, ქარი არ იყო. ეს არ იყო საგამარჯვებო სიტყვით ვაქეატური შემოსვლა. გაიღო კარი და კართანვე ალვის ხესავით აიშართა კენჭაძე.

წამოხტა დოდო. წამართა წინ მკლავები, წამოხტა წინ წინა
ლებული ხმით: ბიზ...ი...ი...ი...

— მთებში არ წახველ?! გულში კი გაიტარა: „როგორ მიხარია“ — მაგრამ ეს გაწვდილი ხელები მოწყვეტილ ტოტებივით კალთებზე დაუცვივდა.

მიმოავლო კენჭაძემ ოთახს თვალი. დახარა წამწამები დაშხამულ ისრებივით. გაჩერდა უსიტყვოდ.

გადაიღუნა გამარჯვებულებთან ეს ერთი რკინის ძმა, გამოეცვალა ფერი სხეულს და ეს გადაღუნული რკინა, ცუცხლში ნაწრთობი, მოდუნებული დაიკლავნა სხვის ხელში, სხვის სურვილით.

დამყარდა სიჩუმე. თითქოს ამ ორ ადამიანმა ერთმანეთი ვერ გაიგო და ზედმეტად ჩასთვალეს წასაღბრება.

წამოიწია ბარნაბა საწოლში. სიხარული გადაეღვარა სახეზე. დიდი ხნის განუცდელი ალტაცებით წამოიძახა:

— გამარჯვება, ამხანაგო კენჭაძე: — და სახტად დარჩა, სახეზე განცვიფრების ნაოქები შეეკრა. კენჭაძემ უპასუხოდ დასტოვა. გავარდა გარეთ.

ძნელია სიტყვის ამოღება როდესაც დანაშაული მიგიძღვის და არ შეგწევს იმდენი ძლიერება რომ სირცხვილი და სინდისი უხმოდ ჩაჰკლა. გეშინია იმის რასაც სჩადიხარ, მაგრამ სისუსტისა და უძლურობის გამო უნდა მოიმოქმედო. დაღონდა ბარნაბა უფრო ნეტად. ნამდვილი დამარცხება ეხლა განიცადა და ჩაიძირა მწარე ფიქრებში.

წამოხტა გიგაც. მიმოიხედა მთელმხარე თვალებით და გასწია კარისაკენ.

კართან სიბნელემ შეაჩერა და ამავე სიბნელიდან შეიარაღებულმა კაცმა შემოსდგა ფეხი. საკინძეზე წატანებულმა უხეშმა ხელმა გვერდზე მისწია გიგა.

— კიდევ ვინა გყავთ აქ დამალული?... წამოიყვირა შემოსულმა, როდესაც ბარნაბას გადახედა და პირდაპირ მეორე ოთახისაკენ გაემართა. შევიდა შიგ მიმოავლო თვალი კედლებს, ქვაფენილს და დიდხანს დასცქეროდა სკივრით დაფარულ ამოთხრილ ორმოს, სადაც სულ რამოდენიმე ხნის წინად იარაღი იყო ჩამალული.

მიხვდა გიგა რაშიც იყო საქმე. მიხვდა რომ კენჭაძემ გასცა ამხანაგები და მწუხარეთ წაიბუტბუტა:

— სადღა არის ვაქეატის სახელი. გატყდეს კაციც თუ სიტყვა გაუტყდება.

ბ რ ა ნ ი *)

(რომანი)

— ამოიღეთ ხმა, ძვალი ხომ არ გაქვთ ყელში გაჩხარული! შეუტია ბესომ სამოციქულოთ მოსულ გლეხებს;

აქამდე ყაყანებდნენ, დაობდნენ და ირჩევდნენ ბარნაბასადმი როგორც ზეპირი, ისე წერილობითი საჩივრის გადამცემს. უმრავლესობა ნიკიფორე ზვიადაძეს ასახელებს.

— თელი დუნია მოგივლია შე კაი კაცო და, შენ თუ კიდო ვერ მოახერხე ორი სიტყვის გადაბმა, ჩვენ რას გავხდებით; — ცხარობს ერთი.

— დახუნდარამ ითავოს, გამოცდილი კაცია — შენიშნა მეორემ. დაწინაურებული გლეხები შეჩერდნენ და ღიმილით შეავლეს თვალები დახუნდარას.

მისი გამოცდილება ძვირათ დაუჯდა რუს გლეხებს: ცხრაას ხუთ წელში, ცეცხლითა და მახვილით გამოლაშქრებულ დამსჯელი რაზმის უფროსს, ალიხანოვს, რუს გლეხობა ბორანთან შეეგება პურმარილით. თხოვნის მირთმევა ენა-დაბმულ დახუნდარას დაავალეს. ნერწყვ-გამშრალმა, თითქო ერთი კვირის უკმელმა დახუნდარამ პირველი ორი სიტყვა. (სულ ოთხი უნდა ეთქვა).

— თქვეენი მშმონა — ალიხანოვის ცხენის კისერთან ამოილო; სანამ დანარჩენსაც — მორჩილი ფართო — დააყოლებდა, ცხენის კუდთან მოექცა; ალიხანოვმა ჩაიარა; ცხენი ათამაშებდა კუდს და მიჰყავდა ის კაცი, რომლისთვის მისართმევი თხოვნა ფაქიზათ, ორი თითით გჭირა დახუნდარას.

ანგარიშ-მიუტეבלათ შეხტა და ძნძელი დააყარა.

— დავეწევი და ვეტყვი — გაიფიქრა. მოინდომა სათქმელის განმეორება, მაგრამ ვერაფრის დიდებით დასაწყისი ვერ მოიგონა: ძნძელი შეანელა. ამაოთ, გაჩერდა და როცა სიტყვებს მოუყარა თავი, ალიხანოვი უკვე შორს იყო.

იმ დღიდან სოფელმა კვიცი შეარქვა დახუნდარას:

*) იხ. „პროლეტ. მწერლობის“ № 11, 12

— კაცო კვიცივით რომ აუჯუნტრუშდი უკან, თუ რამეს თქმა შეგეძლო, წინ არ უდექი იმ ოჯახ-ქორს! უსაყვედურებს გლეხებსა.

მას აქეთ არა ერთი და ორი თმის ღერი მოვეუოცლა თავზე, უძღურების წყალი ჩაუდგა მუხლებში, მაგრამ კვიციის სახელი დღემდე შეირჩინა. არ თავილობდა. მომდევნო თაობის ახალგაზრდებს სიამოვნებით მოუთხოვდა მაშინდელ ამბავს: მისი პრინციპის დაბნელებულ ადგილებს გამოსტოვებდა და ახალ-ახალ ვარიაციებით შესთავაზებდა ცნობის-მოყვარეს:

— თხოვნა რატომ არ მიეცი ბიძია?

— როცა ცხენის სსსადავე დაუქირე, იფიქრა, მემომკლავსო, შშეშინდა და გგამასწრო;

წარბ-შეუხრელათ მოიტყულებდა დახუნდარა: გადახედავდა მოსაუბრეს;—რა გავლენა მოახდინა ჩემმა პასუხმაო,—და შთაბეჭდილების გასაძლიერებლათ, გულდაწყვეტით ჩაილაპარაკებდა:

— დააავწეოდი ერთი...

დახუნდარას დასახელებამ სიცილი გამოიწვია მოციქულებში.

— რა,ა გაცინებთ!

— ნუ გეშინია დახუნდარა, ბარნაბა ქვეითად არის, იმას მაინც დაეწევი;

— შენც დევიწყე ესლა;

საქმიან საუბარს ნელი ნელ მზიარულების ჩქერი შეეპარა, მოციქულებს კამათის საგანი გადაავიწყდათ და მოახლოვებულ ბარნაბას მოუშაადებლათ დახვდნ.

— რაზე გარჯილხართ? მიმართა ბარნაბამ წინ მდგომ გლებს: გლებმა მეორეს გადახედა და თავის რხევით ანიშნა! — მე ვერ ვეტყვი — შენ უთხარი! მეორემ მესამეს-მეოთხეს; ყველანი მუნჯკებივით იდგა. უხერხული სიჩუმე პირველათ ბესომ დაარღვია; მაშინ გლებების ჯგუფი შეირხა და ყველამ, როგორც ერთმა, ნიკიფორეს გადახედა. ნიკიფორე დაიმორჩილა ამ თვალების სურვილმა; წინ გამოვიდა, ჩაახველა და დარბაისლური ხმით დაიწყო:

— ჩვენ გზატკეცილის შესახებ მოგახსენებთ, თქვენი ჭირიმევისაც პერანგის ტარება შეგვეძლო, გზაზე გამოვედით. ქვებისა და და სილის ზიდვით წელი გაუთრიეთ საქონელს; ეს ამის გადასახადი ვარო, გადავიხადეთ! ეს იმის გადასახადი ვარო — არც ამას გავექეცით! აღდგომა დღესავით შევხაროდით....

ნიკიფორემ ფეხი მოინაცვლა და გლებებს გადახედა, თითქო აქამდე თქმულის დამოწმებას ითხოვდა.



— შშეგხაროდით და მეერე როგორ! დაუკრა კვერი დახუნდარამ. ისეთი ყურადღებით მისჩერებია ბარნაბას, თითქო დიდათ სა-
 ნუკვარი კითხვა მიეცეს მისთვის და პასუხას მოლოდინში მსუბუქ-
 ბოდეს; ბარნაბა ზის კადრების ქვეშ: მარცხენა ხელის თითქმის შე-
 მოხვეული აქვს წაბლისფერ წვერებზე; მარჯვენათი საათის ძეწკვს
 ათამაშებს.

— ი, მოიჯარადრეს კაცები მიუგზავნეთ: შე დალოცვილო, თუ
 გზის მოთავებას არ აპირებდი, თელი ზაფხული რაღას გაგვაცდინე;
 ღობეები აგვაყრევენე, ყანები გაგვაჩეხინე, ჯოგის საქონელს მოა-
 თარეშებინე ნახნავ ნათესები თქვა, არაფერს ვჩივით, ოღონდ იმ გზას
 უშველე რამე, ჩენი მხრით შეძლებას არ დავიშურებთ შეთქი!-ვინაა
 გამკითხავი! ყურიც არ მიუგდო ჩენს თხოვნას. ამას ვინლა ჩივა! დღე-
 ისწორს კანცელარიაზე დაგვიბარეს; იმ ჩვენ მოიჯარადრეს უთქვამს:—
 ახალი გადასახადები უნდა გავწეროთ სოფელზე, ფული არ გვეყოფნის.
 გზას მისთვის ვაჩერდაო. — ი მამაცხონებულმა, რაც მოკრიფა, იმისი
 რა გააკეთა! ქვეც რომ გეეკეთებოთ, სულით-ხორცამდე გაცლილ სო-
 ფელს სად შეუძლია ახალი ბეგარის ატანა. ორმოცდაათ წელს მოუ-
 ყარე კაცმა თავი და ამისთანა უბარაქო მოსავალის შემსწრე არა
 ვარ, როგორც წელს იყო.

— მუშა ბელი ომმა წააიყვანა და ანწლიკები ხომ არ გაიკე-
 თებენ ტააროებს!

წაილაპარაკა დახუნდარამ. არ მოსწონს ნიკიფორეს დინჯი და
 რბილი ლაპარაკი: —მასე უ, უბრალოთ მეც ვეტყვოდი, მაგით რავა და-
 აჯერებს! —წასჩურჩულა ციებით გამოყვითლებულ და თვალზე ჩაყარ-
 დნილ ნაფეტვარიძეს.

— ეხლა თქვენთან მოგვაგზავნა სოფელმა, შემწეობას ითხოვს;
 ნიკიფორე წამით დაფიქრდა, მერმე ერთბაშათ შეირხა, თითქო
 მძიმე ტვირთი მოიხსნა.

— ახალი ბეგარა ძვალვით დაადგება ყელში სოფელს; ჯანი
 არ შესწევს.

ბესომ ბარნაბას ყურთან მიიტანა ტუჩები და წასჩურჩულა:

— მაგის შვილი დეზერტირია. ორივე, მთავრობის წინააღმდეგ
 აბუნტებს ხალხს. სოფლიდან კაცების მოგზავნა სულ მაგ ზვიადამის
 ნაიმასქნევია.

ნიკიფორეს ლაპარაკის დროს, გლეხებიც ნიკიფორესავით და-
 ძაბეული იდგენ, თითქო თითაეული მათგანი კიდევ სხვა ბარნაბას
 ელაპარაკებოდა:

როცა ნიკიფორემ დაამთავრა სიტყვა და მოეშვა, მათაც თავის-
უფლათ ამოისუნთქეს და ჯგუფი გაშალეს. ვინ ჩაახველა, ვინ მოკვილო
ხელის-გულში აახმაურა ცხვირი და თითები მახლობელ ქოლის ხეზე
შეიწმინდა; დახუნდარამ ყალიონი გასტენა და კვეს-აბედი, მაჟინსა

როცა ბარნაბა წამოდგა, კვლავ შექუჩდნ და პირვანდელი დღე-
მილი დაამყარეს. მზე ქადრების წვეროებს მიუახლოვდა. მზე კი არა,
ქვაბი, უზარმაზარი ქვაბი, ადუღებული სპილენძით მოპირული აიტა-
ნეს იქ, დააპირეს უფრო ზევით ატანა, მაგრამ თითქო ფეხი დაუს-
ხლტათ და ეს გავარვალბებული სპილენძი მიწაზე გადმოეღვარათ, ეგ-
ზომ სულის შემსუთველმა და ტანის მომდუნებელმა სიცხემ დააქირა:

რა წამს ალაპარაკდა ნიკიფორე, ბარნაბა მიხვდა რომ მოცი-
ქულების მხარის დაქერა ხელსაყრელი იქნება მისთვის, რომ სწორეთ
მათი მეშვეობით შესძლებს ვენახის გადარჩენას განადგურებისაგან.
ბარნაბას რომ ეს არ შეენიშნა, ცამდე მართალნიც რომ ყოფილიყვნენ
მოციქულები, ყინულივით ცივ უარს მიიტანდენ სოფლის ყურამდე.
მისთვის ნათელი გახდა მდგომარეობა: ნიკიფორეს ლაპარაკის გაგრ-
ძელება ცხედმეტათ მიიჩნია, მაგრამ თავაზიანობა იხმარა და არ შე-
აწყვეტინა: მხოლოდ ერთი სიტყვაც კი არ მიუღია შემდეგ. შარშან-
წინ ჩაყრილი ქოლის ხეების თვლით შეიქცია თავი: ჯერ ჭიშკრი-
დან გადათვალა. ოცდაოთხი ძირი გამოვიდა; მერმე მეორე თავიდან
აჭყვა: ოცდა სამი მიიღო. კვლავ ჭიშკრიდან—ეხლა ოცდახუთი ძირი
აღმოჩნდა; გაჯავრდა და მოუთმენლათ შეარხია თავი. უეცრათ, დი-
ლით, ბესოს ნათქვამი მოაგონდა: — იმისთანა სიცხე ჩამოვა დღეს,
რომ ფოთოლიც არ შეირხვეა: —

თვალეზი ტოტებზე შეიტანა; კედარო შეყვითლებული და მო-
წყენილი ფოთლები უღონოთ ჩაპოკიდებია ტოტებს. ამ გარემოებამ
შეაწუხა და სიცხის სიმწვავე მეტად აგრძნობინა.

წამოდგა.

— კარგი, ვნახავ, გამოვარკვევ-

თითქო ეცოტავა ეს დაპირება, უმაღვე დაამატა:


— ერთი თვე ვრჩები სოფელში, მოვაწესრიგებ:

ხელის ჩაქნევით ანიშნა მოციქულებს საუბარის გათავება.

სამადლობელი სიტყვების მოსმენას აღარ მოუცადა, მობრუნდა
და ნელი ნაბიჯით ხეხილის ბალისაკენ გაეშურა.

ეზოსა და ბალის საზღვარზე გაშენებულია ხშირ ფოთლიანი
დაფნის ბუჩქები:

ორ წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა რუაში ქუთაისელი ებრა-
ელი შალომა. გაძვალტყავებულ ცხენს (შორიდანვე დაუთვლიდა ფერ-



დებს კაცი) მიიბამდა ჭოჭარზე; ცხენზე, უბალიშო უნაგირზე ჯვრით მოქცეული ნაბიჯებით შემოვიდოდა ეზოში. ძაღლების წინაშე მათრახით და საგულდაგულოთ შერჩეული კომბალით შეიარაღებული წინაშე კი ვაჭრული გამოცდილებით და ებრაული მანერებით თუ ბესოზე ადრე ძაღლები იკრავდენ შალომას სუნს, ვაი მაშინ კვხით და სიციხით გამომწვარ ებრაელის ბარძაყებს. გამოენთებოდენ ძაღლები და სამჯერ მაინც შემოარბენინებდენ ეზოს.

დარბოდა შალომა, იგერიებდა ძაღლებს და ერთი უკმეხი და უშვერი სიტყვა არ წამოცდებოდა მათ მისამართზე.

უყვავებდა, უსტვენდა, უძახოდა რუსულ სახელებს — მურკას, ბოპკას და სხვას, თუმცა არც ერთი მათგანი არ ატარებდა აღნიშნულ სახელს. უცინოდა და არ იშურებდა თავის არსებაში ჩამარბულ საალერსო შესაძლებლობას, ოღონ ძაღლები მეტად არ გაანჩლებულიყვნენ და ერთი ქცევა ეზოში, კურდღელივით წინ არ გაეგდოთ და არ დაებრდღენათ მისი, ვინ იცის რაოდენი ვარჯის წყალობით, შესუქებული არსება.

სამაგიეროთ შეეფარებოდა თუ არა შალომა ბესოს საიმედო მხრებს, არამც თუ ცოცხლებს, მკვდრებსაც და მომავალ თაობასაც არ დაუტოვებდა ძაღლებს შეუფინებელს.

ჩააფრინდებოდა მკლავებში ბესოს, მობრუნდებოდა, შეუბღვერდა ძაღლებსდა მათრახის ქნევით წააქეზებდა;

— მოდი შე წუპაკო, მოდი შენ ტურის არჩივო, შე სამგლე, შენი — ასე... შენი — ისე...

— რაღა ხართ, რაღა გიკითხოთ, რა მშვიდობით თქვენი ჭირი-მე! გაუმეორებდა ბესოს ათასჯერ.

ბესო პასუხს არ გასცემს; იცის: საჭიროების-და-მიხედვით შალომა ხესაც მიმართავს მოსაკითხი სიტყვებით. იცის: მისი, პირწავარდნილი იმერელი ებრაელის ვაჭრული ჩეულებმა, (ხერხი) რომლის შემწეობით შალომა თავს იშინაურებს, შინაურულათვე ჩარხავს საქმეს და ვაჭრობის ფორმალურ მხარეს აუბრალოვებს და ამარტივებს:

მიუახლოვდებიან ჭადრებს. სანამ ჩამოჯდებოდნენ, შალომა ისარგებლებს ბესოს უყურადღებობით და სრულად განიტვირთება ბოლმისაგან; იმ ადგილს, რომელიც მოარბენია მას ძაღლებმა, მიავლებს თვალებს და ზიზღით ჩაილაპარაკებს: — თქვენ მიაკვლით თქვენს პატრონს.

დაჯდებიან. გულ-ამოქცეული შალომა დაწყნარდება. წითელი ცხვირსახოცით ოფლს ჩამოიწმენდავს, იღლიებში ამოივამს, შერმე შეატრიალებს და ისევ სახეზე მოისვამს და იტყვის:

— აგერ ექვთიმესთან ვიყავი, ექვთიმესთან; ცხენს ვევაჭრობი. შენთან შემოვიარე, შენმა მზემ, ისე გამეხარდება შენი ნახვა, როგორც ჩემი კოლშვილის;

ლაპარაკის დროს შალომა გაურბის მოსაუბრის მხრეებთან შეჩხვდერას. შიშით და სიხარბით დაფეთებულ თვალებს მისი ცხენის კარილებს.

— შენი პატრონის ქვეყანაც... გაიფიქრებს ბესო და საუბრის საგანს უფრო შორს გადაისროლის.

— მაღლობა ჩემო შალომა, რა ამბავია ქალაქში?

შალომა გრძნობს რომ ბესოს ქალაქის ამბავი ეხლა სრულიად არ აინტერესებს; ბესოვაც იცის რომ შალომამ მას კი-არა, ბესოს, არამედ დაფნებს შემოუარა, მაგრამ თუ საუბრის ნამდვილ საგანს ხელს არ ჰკიდებენ, ამისთვის ორივეს საკმაო მიზეზები მოეპოვებათ:

ჩემი სიტყვით რომ ვადმოგცეთ, შალომა დაახლოვებით ასე ფიქრობს — ბესომ არ უნდა იფიქროს, რომ მე დაფნისთვის ჩამოვედი ქალაქიდან, და ყიდვას ვეძალები; არ უნდა იცოდეს რომ მე, მამა-სისხლადაც რომ დამიჯდეს დაფნა, უიმისოთ მაინც ვერ წავალ აქედან; ისე მოვაჩვენებ თავს, ვითომ შემთხვევით შემოვიარე მასთან და თუ აქვს დარჩენილი რამე საქონელი, — მაგ: დაფნა, ღინღლი და თუ ხელ-საყრელი პირობებით ვასცემს — იყიდის, — რატომ არა!? ბესო გულ დამშვიდებულია. ელის, როდის გამოეღევა შალომას მოთმინება და საქმეს მიუახლოვდება.

— ამ ვაინობამ თლა დოჟკარგა ყველაფერს გასაველი; ამბობს შალომა. ფრთხილათ სინჯავს ნიადაგს.

— შენმა მზემ, ზასტავაზე დახვდებოდა უწინ გლენკაცობას ჩვენი ებრაელობა; იქავე დაუკლიდენ ხელებს! დღესა, დღესა, ზასტავაზე ვინ წავა?! სახლშიდაც რომ მიუტანო საქონელი, გარეთ არ გამოიხედავს, არამც თუ იყიდის! მაინც ამ დაფნას და ღინღლს სათოფეთ არ ეკარებთან; ახლა შინაურ ფრინველებზე და კვერცხებზეა დიდი მოთხოვნილება. გაკეთდენ, შენმა მზემ, იცკა და ხაიმო! ერთი ცხენით დადიოდენ სოფლებში, ახლა მეორე უყიდიათ, შესამესაც აპირებენო....

წუხს შალომა, შლის ხელებს და წამდაუწუმ ისევას ხელის-გულს გრძელ წვერზე, თითქო ეშინია ძირს არ ჩამოუვარდეს. გაჩუმდება და კითხულობს ბესოს სახეზე; რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა შესავეალმა. ბესო ზის აღუშფოთებულათ:

— რათ გიყიდიო მერე ჩემო შალომ! — ამბობს ბესო მჭირდავ ღიმილით და კიშკრისაკენ გაიხედავს, სადაც დაფნით და ღინღლით დატვირთული ცხენი აბია.



შალომა არ იბნევა;

— ერთი მოყვარე მყავს აქანე, დაჩაკრული კაცია. ცოტას იმისაც ვასარგებლებ, ცოტას მეც გამოვრჩები რამეს თქვა და ~~ახლავე წაშორდა~~ მეტ შაურად გამოვართვი; უწინ ამ ფასად ეზოში ~~არა მტრებიც მამხმარებ~~ კაცი! — ახლა რას იზამ, — ტყუილ-უბრალოთ წახდენას, წყვილი საპერანგე ნარმას მაინც გამორჩება ჩემი მოყვარე;

მცირე ხნით გაუმდებიაან;

შალომა ზის „სახეთო რჯულში“ ჩახატული ქრისტეს სიმშვიდით. მისი სიმშვიდე არც მაშინ დაირღვევა, ცას რომ მზე გაეპაროს და მოსალამოვდეს. 40 ვერსიან გზას ღამით რომ გაუდგეს და გაიყოლოს; ტურების კივილი, ქოფაკების ღრენა და ნაცნობი შიში. ებრაელის პირფერობით მოუთმენლობა შეეპარება ბესოს. წამოდგება:

— მართალი ხარ შალომ, გაჭირდა ცხოვრება; — ჰო, რა უნდა მეთქვა; მოშე თუ ნახო, უთხარი; — რას შვრები. რატომ ჰკარგავს ბეს? დანარჩენიც ჩამაბარე და მოვრჩეთ — ბარემ თქვა;

შალომა შეტრიალდება სკანზე.

— რისი ბე?

— ამას წინათ, დაფნაზე და რაცხა ნახევარი ტომარა ღინლლი მქონდა, იმაზე მომირიგდა. ბე დამიტოვა.

შალომა შეაქნევს, შეატრიალებს ხელებს, თითქო მღულარე წყალი გადაესხა.

— არ გეკადრება შენმა მზემ. ბესო, მაგისტანა საქმე; მე დამპირდი, მე დამპირდი, ეხლა პირი მიშალე თავი შეირცხვინე? შემომხედე თვალბში, გეკადრება?! ჩვენი ფული არ ფულობს, ნომერი აკლია? მაგას მოველოდი შენგან!

აქაქანდება შალომა, ახრიალდება, როგორც საფქვავე-გამოღეული წისქვილი და დაფეთებულ თვალებს მიაყრის უღვაშების ქვეშ ჩაიწებულ ბესოს. ბესოს არავითარი ბე არ მიუღია მოშესაგან, შალომას არავითარი პირობა არ შეუყრავს ბესოსთან, მაგრამ ორივე მოგონილი მიზეზი დროული არის: ნახევარი საათის ვაჭრობის შემდეგ, ბესომ კმაყოფილებით ჩაიხზრიალა ქისაში ვერცხლი, შალომამ კი მოიმარჯვა მაკრატელი და ბურდღუნ-ბურდღუნით შეიმალა დაფნის ბუჩქებში. ღინლლი გასინჯა, დაყნოსა, და ჩაილაპარაკა:

— ათ შაურსაც ვერ მოვიგებ, მარა მოშეს ჯიბრზე ვყიდულობ ბარუხას მაღლმა! — მემშუტრება ყოველთვის;

ბესო შორიდან უთვალთვალეებს შალომას; ცუდათ არ შეჭკვეოს და ტოტები არ მიაჭრას ბუჩქებს;

— შენი წყენება მეძნელება შალომ, თორემ კაცს ბეს გამოვართმევ და მერე პირს გაუტეხ?!

ბარნაბამ აათვალღერა გაუკრეველი ბუჩქები.

— არ მიაჩვთ?

— გასავალი დაეკარგა; სავაქრო ამხანაგობა დაფინის პარტიებს, დახურულა, — მიუგობესომ.

გუშინ-წინ იყო შალომა. ბევრი იძახა ბესომ!. ამდღნი და ამდღნი ბე მივილე ამისგანო, მაგრამ შალომამ თვალცი არ მიუგდო ბუჩქებს: — არ იღებნო — განაცხადა. ცხენზე ტომრების მაგიერ ძარები გადაეკიდა; ძარებში კრიახობდენ დედლები, მძიმეთ, ეპიური სიღინჯით იცქირებოდენ ბატები და ფართხუნებდენ ყვინჩილები:

ბარნაბას მახლობელი ბუჩქი გაშრიალდა, შეირხა და გადაწეულ ტოტებიდან გადმოხტა სირბილით ალაყლაყებული დოფინა. შესდგა. მუხლზე შეკეცილია და კამარას გასაკრავათ მოშადებულმა, უკან მოხედა, თითქო მდევარის გამოჩენას მოელოდა; ბუჩქი ხელმეორეთ არ გაშრიალებულა. დოფინა ვაიმართა, მარცხენა მკერდზე ხელის გული დაიდო, თითქო ეწადა მისი ლელვის შენელება. მზით შერუჯული და გაოფლილი სახე უბზინავს. თავს მალიმალ არხევს და თვალებზე ჩამოფანტულ ნაწნავებს გვერდზე ჰყრის. ხამის მოკლე, უსახელო კაბა აცვია; შიშველ წვივებზე წინდების მიკარება ისე ეუცხოვება, როგორც მოკუნტრუშე უშობელს ჩექმები: მისი წინდები — წყალია, მისი წაღები — ბალახებია, მისი სამოსელი მზე და ქარია: ისინი მოსავენ დოფინას სხეულს ბრინჯაოსფერი, პრიალა კანით. ისინი ამკვრივებენ და აცალიბებენ დოფინას სხეულს და აძლევენ რძიანი, ლორთქო ბალახების და ნოყიერი მიწის სურნელს. დოფინას სხეულის კანი დამაბვულია ცეცხლზე ვაფიცხებულ დაირასავით, მოუდრეკელია და ხმოვანი. ორი საყენის სიმაღლიდან ჩამოხტება და რეზინის ბურთივით მჩატეთ დავარდება მიწაზე. კატის ელასტიურობით აცოცდება ნიგვზის ხეზე და ხუთჯერ თავის-თავზე უგრძეს ჭოგრით ჩამორეკავს ნაყოფს.

— ვაჟის მაგიერობას დოფინა მიწევს; — ამბობს ზინობე და სიყვარულით განათებულ თვალებს დოფინას მიაპყრობს;

როცა ზინობე სადილობს, მის მაგიერობას ბორანზე დოფინა სწევს: ჩამოეკიდება ჯაჭვებს, დაეძაგრება ძარღვები, შეეკვრება სუნთქვა და სანამ ბორანის ძვრის დამახასიათებელ ღრქენას არ გაიგონებს, ფეხს არ მოინაცვლებს. ამ დილით ვადმოაბიჯა თუ არა საყორნიოდან (მთა-გრეხილი, რომელიც ჩრდილოეთით აკრავს ჭალას) მზემ,



დოფინამ ლადარში ჩააკრა წაბლის ფურცლებში შეხვეული ტონი. ჩაყენა ლობიო, დაჭავა ქობი და გამოვარდა გარეთ.

— სად მიხვალ შე შეჩვენებულო?

ერქვენსული

მიიძახა მართამ და მარდათ ჩამოახია საჩივრები

მატყლი:

— ბა — რნა — ბა — სთან...

წაიმღერა მხიარულათ დოფინამ! შეხტა. — მზეზე გაშხვართულ ყურშავა ტრეზორას ალერსით დაეპრანჭა და გაჰქუსლა. ძალღმა ალერსი შეიფერა, კული შეაქანა და თავის რხევით გაიწყვეტუნა; გაქცეულ დოფინას ვაიყოლა გაკვირვებული თვალები და როცა დარწმუნდა, რომ დოფინა არ შეჩერდება და ალერსს არ განუმეორებს, წამოვარდა და გრძელი ნახტომებით აედევნა უკან.

ხმაურობს ჰაერივით სუფთა და განჰვირვალე რიონი. უროკოა მისი ზედაპირი. მხოლოთ ხანდახან, ჩქარი მდინარება წამოჭოჩრავს პატარა, ქაფ-მოკიდებულ ტალღებს, შეეხებებიან ერთმანეთს და აისვრიან გამრიალებულ წინწყლებს. რიონის მარჯვენა ნაპირი, ბაქანის ირგვლივ, რიყეა. ერთი წყდის სისქეზე დაუენილია პრტყელი ნაცრის ფერი ქვები; ალაგ-ალაგ მოსჩანს ძაბრივით დადგმული ხროვა. ახალი გზის მოსაქირწყლავათ უნდა ვაეტანათ მეურმეებს, მაგრამ მუშაობის შეჩერების გამო თავი გაანებეს.

— ერთი ბერძენიც (ქვაფენილის დაგების ოსტატები) არ ჩამოუყვანია მოიჯარადრეს ნაყანეზე, (ახალი გზის სახელია) ტყუილ-უბრალოთ გასაცდენ ხარ-კამეჩებს კი აწი გამოვიწერთო! ამბობდენ უკმაყოფილო რუელები.

წყლის ნაპირას კენჭებია და სილა. კენჭებზე ჩხრიალებს წყალი, სილაზე შუის და მათ ხმაურს ბორანზე შემოღამებული დოფინა ღებულობს როგორც ნანას, როგორც ტკბილ ბურანს;

ათასი უჩინარი მწერით და სულდგმულით და გამოურკვეველ ძალებით აწივლებული და აგუგუნებული ღამე კონუსივით ჩამოეშვება ქალაზე. მთელი იმ სიმძაფრით, რომლის ატანა ძალღმს ცამეტი გაზაფხულის მომსწრე ახალგაზრდას, ახმაურდება დოფინას მკერდში სიხარული, გაავსებს პირამდე და დატეხილ ღიმილებათ ვადმოუარს სახეზე. თუ ასეთ წუთში გაახსენდება დოფინას, რომ ხვალინდელი დღე ახალი საქმის გამოჩენას ჰპირდება მას, თავს ბედნიერათ ჩასთვლის; მკერდ-გაგანიერებული დაბრუნდება ქობში და ჯანიერი ძილით ჩაეძინება.

წუხელაც იკითხა დოფინამ:

— რა გამახარებს ხვალ? სიმინდის რჩევა? არა, თევზობა? არა.
პო, მართლა, წინდების ქსოვა; გუშინ თვლები ჩაყარა და უასნაყი
თითში გაიჭო. ხვლიდან ბეჯითად მოჰკიდებს ხუჭუჭუ უხუხუღღს.
არც ეს, არც ეს ახარებს, დოფინას! დამავიწყდა! გუფელე! ეჩფუქუქუმ
მასთან უნდა წავიდეს... და თითონაც არ იცოდა დოფინამ, თუ რა-
ტომ გაახარა ლადოს ხსენებამ.

დოფინა მირბის რიყზე. ქუსლებიდან მკვახე ხმაურით უბტება
კენჭები; სამეგრელოში ნამუშევარმა ნათეტვარიძემ რამდენიმე ვერ-
ცხლის მანეთის გარდა, მეგრული სიმღერის კილოკავიც ჩამოიტანა
რუაში. ვერცხლის გამოღვევამდე თვრებოდა იერემოს დუქანში, გა-
მოჰყვებოდა შარას, მოედებოდა ყობე-ყორეს და ჩახრინწული ხმით
მოიმღეროდა.

ოფოღელა სიჩერჩელა
ოვა ოვა ოვა ვა,
რასაც შევამ ის შევრჩება
ოვა ოვა ოვა ვა.

დოფინას საყვარელ სიმღერას ეს კილოკავი შეადგენს. თავისი
საქმიანობის და თამაშის რიტმს ადვილათ უფარდებს კილოკავის მარ-
ტივ ბგერებს.

„ოვ ჩელა სიჩერჩელა“... მიმღერის დოფინა და ხმას იმის მი-
ხედვით იცვლის და იმაღლებს, თუ რაზე დაჰკრავს ფეხებს; როცა
წვეტიან ქვაზე მოახვედრებს ფეხის გულს, დაკოკლდება და გაბრაზე-
ბით აღრიაღდება;

„ოვა ოვა ოვა ვა“...

სიმღერის სიტყვები დოფინამ არ იცის; არც ესაქიროება: სიტ-
ყვიერი მასალა მისივე მოგონილია; ამღერებს ისეთ სიტყვებს, რო-
მელიც მოცემულ დროში მისი მოქმედების შანაარს გამოხატავს.

მირბის და მიჰკის ქალას. ეხლა წავალ ლადოსთანო, ოვა, ოვა,
ოვა ვა.

— ჩავარდები შე გიჟო, რა გაბტუნებს! —

გადმოსძახა ზინობემ

ბორანი კარგათ არ მოსდგომოდა ბაქანს რომ დოფინამ ისკუბა
და მოექცა ზედ.

— გამარჯვება შეილო, დედა შინ არის?

შეაჩერა დოფინა მარჩიელმა თეოლინამ.

— სახლში არის, მატყლს ჩეჩავსო, ოვა ოვა ოვა ვა... მიამღერა
და სწრაფად გაშორდა.

მარჩიელი თეოლინა, ცხრა მთასა და ცხრა მინდორს იქით
მცხოვრებ ალქაჯების მოციქულია რუაში. ყველა ბოროტ თვისებებს

თეოლინაში უნახავს თავშესაფარი, რასაც ადასტურებს მისი ცხვირი, ნამგალივით მოხრილი და წვეტიანი; სიბავით განათებული თვალები და სახის ის ნაწილი, რომელიც მიჩენილი აქვს მათ მაგიერ იქ ორი უფერო, ნიკაპამდე ჩამოქანებული ხაზი, მოყვანილობით ღორჯოს ლაყუნებს მიაგავს; ზემო ხაზს, რომელიც უშუალოთ მიჰკვრია ცხვირის ნესტოებს, ვერ წვდება ქვემო ხაზი; ამიტომ თეოლინას მუდამ გაღებული აქვს პირი და ვისაც მისი სახის შეხედვა არ შეეზიზღება, სამუდამოთ დაამახსოვრდება ეანგისფერი, თავწატეხილი კბილები და ალაგ-ალაგ ცარიელი ადგილები. ასე ფიქრობს დოფინა და თეოლინას ზღაპრიდან ამოყვანილ ალქაჯს ეძახის.

მისი ჩუმი მიშპარავი სიარული და საიდუმლოებით მოცული ლაპარაკი, მყრალი, სამარის სუნი მისი ტანსაცმელისა, შიშს ჰკერის ახალგაზრდა გოგოს.

— ნავსია; მაგი რო დილით შეგხვდეს და ნასაუზმები არ იყო, თელ დღეს უქმად გაგირონებს; ვერაფერ საქმეს ვერ მოეკიდები, გუნებას აგიცრუებს და ფათარაკს შეგყრის; დაცდილი მაქვს;

იტყოდა დოფინა, როცა თეოლინაზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას.

უსიამოვნო გრძნობა შეაპარა მასთან შეხვედრამ:

— დავინამსე, — გაიფიქრა დოფინამ. პრტყელი ქვა აიღო, დააფურთხა და გადააბრუნა. თეოლინამ შეასწრო თვალი.

— შენზე გაიშალა დედაშენმა თმები. წაიწურაწულა ღვარძლიანათ; ნაფეტვარიძის ყანასთან დოფინა გაჩერდა. შარაზე გადმოშვერილ ნიგვზის ხის ტოტებს შემოუარა და გულნაკლულათ ჩაილაპარაკა:

— სულ ჩამოურეკიათ იმ ოხრებს!

„ოხრები“ მეწვრილმანე ებრაელები იყვნენ. ვერასდროს დროს ვერ ჩაუვლიდნენ გულგრილათ ნიგვზით დაყურსულ ტოტებს. ერთ-ორ ჯოკს მაინც მოუქნევდნენ და სოფელში შესვლამდე, თავის-შესაქცევი ნიგოზით გაიტენიდნენ ჯიბეებს.

რამდენიმე კაკლის შოვნა მაინც მოახერხა, უბეში ჩაიყარა და გზის შესამოკლებლათ ნაჩალარზე გადაუხვია.

— დამიდგეს თვალები, ლადოს რძე ჩაუტოვებია კიქაში! შეშინებით წამოიძახა გამზრდელმა.

— ლადო! — გამოვარდა მეორე ოთახში: — ხომ ჩამიმწარდა დღევანდელი დღე, რომ გაიგოს ბატონმა! ლადო:

— ლადო, ე; — მიუთითა მარინემ ფანჯარაში: ლადო ლობეზე ჩამომჯდარ დოფინას ელაპარაკება.

— რა მეშველება ახლა, რას იტყვის ბატონი?!

— დალია-თქო;

— რავე შეიძლება ქალბატონო, ბავშვის ჯანმრთელობას რავე უღალატებ!



— არ გინდა?

დოფინამ კაკლები გაუწოდა.

— მაწყენს, ხველებას ამიტებს.

ნიგოზი ჩამოართვა და გაარაკუნა.

— ნიგოზი გწყენს, თამაშობა გწყენს, — მიწა დანამულია და გავცივდებიო, — ხეზე აცოცების გეშინია, — ჩამოვეარდებიო — ყველაფერი გწყენს, ბოვში ხომ არა ხარ!?

— ცოტათი შეთბეს ჰაერი;

— ქალაქში დილა-ადრინათ გარეთ არ გამოდიხარ?

— კი, მაგრამ იქ სხვანაირი გეოგრაფიული მდებარეობაა;

— რა, ა!

— გეოგრაფიული მდებარეობა.

დოფინამ გაქირვებით შეიკავა სიცილი.

— მაგ რას ნიშნავს.

— დილით სახლიდან რომ გამოხვალ. ცვრიან ბალახების ნაცვლათ დაგვილი ფილაქანი დაგხვდება. აქ ირგვლივ მთებია და ტყე, საიდანაც ცივი ნიავი მოჰქროლავს. ქალაქში კი, ქუჩები დიდრონი სახლებით არის შემოზღუდული; ისეთი სიმძლავრით, როგორც სოფელში, ნიავი ვერ შემოატანს. თბილა.

— ჰოო — დოფინა დაფიქრა.

— ყველგან ქუჩები და სახლებია?

— კი.

— ქალა!

ლადომ გაიღიმა.

— ქალას ქალაქში რა უნდა.

— აბა სად თამაშობთ!

— სკოლის ეზოში, ოთახში.

დოფინა ჩამოხტა ლობიდან!

— მანამდე რა ვაკეთოთ!

— წიგნს წაგიკითხავ.

— მაგის გუნებაზე არ ვარ ეხლა. — გაჯავრებით უპასუხა დოფინამ:

— მე მეტი არაფერი არ შემიძლია, რაც ვიცოდი შემოგთავაზებ და აბუჩად ნუ აივდებ მას; — ამბობდა ლადოს თვალები.

ამ წუთში დოფინამ იგრძნო თავისი უპირატესობა მეგობარზე; ამ გრძნობამ იმდენათ გაახარა, რომ თავისი უხეში პასუხის გამოსყიდვა მოინდომა.



— შენი გულისთვის თევზაობას დაეკლდი დღეს;
 დოფინას აკვირვებს ლადოს წყნარი და მორჩილი ხასიათი.

აკვირდება მისი სახის ხაზებს, რომელიც ისევე ეკვირვება
 დოფინასათვის, როგორც მისგან ნაჩუქაო წიგნში ჩაწერილი სიტყვები
 და ფიქრობს:

— სრულიად არ ჰგავს ჩვენი სოფლის ბიჭებს, თორემ ამდენხანს
 ხუთჯერ მაინც ვეცემოდით ერთმანეთს და დავბუსკნიდით!

ლადო დგას ჩუმათ;

მას ოჯახში ხმის ამოღების უფლება მაშინ ეძლევა, როცა შე-
 ეკითხებიან რამეს;

— უფროსების წინ არ უნდა გაგისწროს ენამ! გაუჯავრდა ბარნა-
 ბა რამდენჯერმე ლადოს, როცა მის მიერ დარღვეული იქნა მამის
 ფორმულა; საუბედუროთ ოჯახში ყველანი ლადოზე უფროსები იყვნენ,
 ამიტომ ცნობის-მოყვარე ახალგაზრდას უნდა ეთმინა. — და ეცადა
 ისეთ ბედნიერ წუთამდე, ვიდრე რომელიმე უფროსი არ დაინახავდა
 საჭიროთ მასთან გამოლაპარაკებას: ამ გარემოებას ისე შეეჩვია რომ
 ტოლებთანაც უჭირდა საერთო ენის მონახვა და ვასაუბრება.

მანეკენივით იდგა და თუ შეეკითხებოდნენ რამეს, გაუნათდე-
 ბოდა სახე, როგორც ძალღს, რომელსაც წუთის უკან სცემს და ეხლა
 კი აღერსი დაუპირეს; გაზეპირებული გაცვეთილივით ჩააბარებდა პა-
 სუხს მოსაუბრეს. ლადოს არ ეხერხება სასურველი და ინტიმური
 საუბარი, რომელსაც პირველ-გაცნობისთანავე ჩამოაგდებენ ერთმა-
 ნეთში მოხარდი ახალგაზრდები;

დოფინას არ გამოეპარა ეს მოვლენა: ლადო მისთვის სასურ-
 ველი და მიმზიდველი ქვეყანაა. მისი კარები დოფინას აზრით გუ-
 ლითადი მეგობრობის შეშვეობით უნდა გაღებულყო; მეგობრობის
 ნიშნები ჩანდა, მაგრამ კარები არამც თუ გაიღო, მისი გაღების მა-
 უწყებელი კრიალიც არ ესმოდა დოფინას.

— არ მკადრულობს! გაითიქრა უეცრათ დოფინამ და აიმრიზა:
 გამომწვევი სახე მიიღო, ძალდატანებული მედიდურობით გადახედა
 ლადოს და წასვლა დააპირა.

ლადომ წინ გასწია ხელები, თითქო ძვირფასი ნივთი გამოს-
 ტაცეს და დაბრუნებას ცდილობს:

— სად მიხვალ!

— შინ.

— მე?!

დაიძახა ლადომ.

დოფინა შესდგა. იკრძო, ეს „მე“ ისეთი კილოთა იყო, რომა-
ხებული, რომელსაც ეძებდა იგი ლადოში.

— შენ?!

შენიერდა, თვალები ღობეს მოავლო და მხიარულად დასწრისა
— დამეწიე.

თვალის დახამამებაში ღობეს გადაახტა და ბალისაკენ გაჰქუს-
ლა: ლადომ გაკვირვებით გააყოლა თვალები, მერმე გაიღიმა, და მაშინა-
ლურათ გასდგა ნაბიჯი: მაგრამ როცა დაინახა რომ დოფინა მართლა
მირბის და იწვევს მას მდევრად, სწრაფად დადინჯდა, როგორც ქუ-
ჩის სიცილიერით დაინმედებული პროფესორი, რომელიც მისი ავტო-
რიტეტის შეუფერებელი მოძრაობით და სიცილით გაუაშკვდება ქა-
ლიშვილს და შემთხვევითი მგზავრი წამოადგება თავზე.

— რას იტყვიან სახლიდან რომ დამინახონ, — ამხელა კაცი ბე-
შვივით დარბისო! ვაიფიქრე მართალი იყო ლადო, — ამხელა კაცი —
ოჯახმა შეარქვა ლადოს, რომ ჩაეკლათ მასში ყოველგვარი ცელქო-
ბის და თამაშის სურვილი, რომ თავი გაენთავისუფლებიათ და ზედ-
მეტად არ ეზრუნათ მასზე.

— ამხელა კაცი ხარ, ეს არ შეგეფერება;

— შენხელა კაცი მაგას ჰკიდებ ხელს!

— შენხელობაზე ოჯახს ვმეთაურობდი, შენ კი ძღუძეწოვარა
ბავშვივით იქცევი!

წამდაუწუმ წამოაძახებდნენ ლადოს, როცა მისი ახალგაზრდული
სისხლი აუჯანყდებოდა წიგნებს და მყუდროებას და სათამაშოთ, სამ-
ხიარულოთ გაიწვევდა მას. არ იყო მეტი ჯანი და ლადოც ცდილობ-
და გაუტებელათ ეტარებინა — ამხელა კაცის — სახელი.

დოფინა გაჩერდა: ხელის გული ტუჩებთან მოკეცა და გად-
მოსძახა:

— აუუ, გამოიქეცი თვარა სახლში წავალ;

ლადო შეტრიალდა. საშველი არ არი; ბოლოსდაბოლოს რა
მოხდება! ერთხელ კიდევ ეტყვიან, — ამხელა კაცს ესა და ესო — სხვა
რა! სამაგიეროთ. რამდენი სასიამო სანახავეების ჩვენებას დაჰპირდა დო-
ფინა, შეიძლება სათევზაოდაც წაიყვანოს!

ქურდულათ მიიხედ-მოიხედა: არავინ არ მოსჩანს. ჩქარი ნაბი-
ჯებით დაიძრა. მიიმალა სახლი თუ არა, სირბილზე გადასვლა სცა-
და. არ გამოოვიდა და სასაცილოთ აძუნძულდა.

— ჩქარა ჩქარა შე დოყლაპია დაიძახა დოფინამ, ბალი შემო-
ირბინა და მიაშურა დაფნის ბუჩქებს. ის იყო გადმოხტა და კიდევ
შეეფეთა ბარნაბას.

(გაგრძელება იქნება)



საუბარი მტკვართან

რა უნდა გითხრა მე უკეთესი
ან და ახალი, ძვირფასო მტკვარო,
რომ დავასრულო შენთან აღერსი
და შუბლი კალმით ჩამოვიღარო!..

შენ ხმას მიაწყო ლექსები ბევრმა,
მე უკანასკნელს ველარ დაგიწერ.
მიკვირს, ჩემშიაც გრძნობამ იელვა
და უნებლიედ ლექსი დავიწყე.

ვიცი: მე წაველ და შენ დარჩები,
ჩვენ მეგობრები ვართ წუთიერთ
ზევიდან ნისლი, როგორც ფარჩები,
დაგხედავს სწორად და აღმაცერად.

მაშინ მოხვიე ტალღები მიწას,
სადაც ვიქნებით ჩვენ შენახული,
რომ ირგვლივ მთები ისე დაიწვას,
როგორც ათასი პოეტის გული.

შენ აღბად გახსოვს დღე გუშინდელი.
ადამიანის გლეზავდა სისხლი,
და უფერული, როგორც სანთელი,
მზეს იფარებდი წითელი ნისლით.

შენ გეცინება: დრო გადასული
ველარ გასცურვენ გაღმა ცხენები,
და ვარსკვლავები, შენგან მოსული
თავზე დაგყურებს, როგორც მცველები.

აღბად ეს გული მხოლოდ ამიტომ
ვერ შევაჩერე ხელის დაკერით

და ისტორიას მინდა დავვიდო
ჩვენი ეპოქის ერთი ნაჭერი.



ქართული
საქმიანობა

წავა დღეები, როგორც ფოთლები
ქარის შებერვით შემოდგომაზე,
და თბილისიდან რკინის ბორბლები
ვადაგორდება ფიქრის გორაზე.

მაშინ მიხვდები, გაიგებ კარგად,
რატომ ლელავდა გულები ჩვენი,
რამაც ძველი გზა შენც დაგიკარგა
და იქცა შუქათ შენი ჩანჩქერი.

შალვა რაღინი

ა ლ ი ო მ ა შ ა შ ვ ი ლ ი

უდავოა, რომ თითოეულ მწერალს იმდენად აქვს საზოგადოებრივი მნიშვნელობა, რამდენადაც შემოაქვს ლიტერატურაში რაიმე ახალი, რამდენადაც გვეხმარება ის შევიმცნოთ ცხოვრების ესა თუ ის მხარე.

ალიო მაშაშვილი უდიდესი სისრულით და გარკვეულობით გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენს ბრძოლას და აღმშენებლობითს მუშაობას. მისი შემოქმედების ძირითადი თემაა „ლენინი“, „ოქტომბერი“, „კომკავშირის მარში“, „25 თებერვალი“, „ლენინელების სიმღერა“, „მშრომელი დედა“, „პროლეტარი ქალი“, „გარდატეხა“ და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალიო მაშაშვილის შემოქმედების გზა მეტად დამახასიათებელია საქართველოს ოქტომბრის შემდეგი დროის ლიტერატურისათვის. მისი პოეტური ევოლიუცია საკმაოდ ნათლად და ფართოდ სახავს მთელ წყებას იმ საფეხურებისა, რომელიც განვლო პროლეტარულმა პოეზიამ, როგორც მთლიანად, ისე თითოეული პოეტის შემოქმედებაში.

თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ პერიოდში ალიო მაშაშვილს რევოლიუციონური რომანტიზმი ახასიათებდა. მაგრამ რო-

მანტიზმი მაშინ ახასიათებდა არა მარტო მას, არამედ მთელ პროლეტარულ პოეზიას. ამისი სათავეები უნდა ვეძიოთ არა პროეტის ინდივიდუალობაში, არამედ მაშინდელ საზოგადოებრივ ურთიერთობებში. სამოქალაქო ომის, სამხედრო კომუნიზმის დროს ურთიერთობები ველი აქტიური მონაწილე მტკიცედ იყო დარწმუნებული რევოლიუციის პლანეტარულ გაქანებაში. ყველას გვეჩვენებოდა, თითქოს არა მარტო ადამიანები ანგრევენ ძველ ყოფა-ცხოვრებას, მონაწილეობენ ახალის აღმშენებლობაში, არამედ მთელი ბუნებაც, მზეც, მნათობებიც ეხმარებიან წითელ ოქტომბერს და ამიტომ მაშინ პროლეტარული პოეზიაც განყენებული იყო. ის ხასიათდებოდა აბსტრაქტულობით და პლანეტარიზმით. მაშინ პროლეტარული პოეტები ცდილობდნენ ჯერ კიდევ შეუცნობელი განცდები გადმოეცათ კოსმიური სახეების და შედარებების საშუალებით და რადგანაც გარკვეულობის მაგიერ იყო ენტუზიაზმი, ანგარიშის მაგიერ — გატაცება, ამიტომ მრავალი პროლეტარული პოეტის კოსმიურ გაქანებას ახასიათებდა გაურკვეველობა და აბსტრაქცია. ეს მოვლენა მაშინ სტიქიური იყო.

ა. მაშაშვილი, როგორც თავისი კლასის შვილი, ამ უკანასკნელთან ერთად მიდიოდა ბრძოლაში სოციალისტური ქვეყნისაკენ. ასეთ პირობებში რევოლიუციონური რომანტიზმი, რევოლიუციონური კოსმიზმი აუცილებელი იყო. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ერთმანეთში არ უნდა შევეურიოთ ახალი პროლეტარული კოსმიზმი და ძველი ბურჟუაზიული კოსმიზმი. ეს სამყაროს ორი სხვადასხვაგვარი ათვისებაა. „პროლეტარული პოეტების კოსმიზმი არ არის რომანტიული უნივერსალიზმი, არც მისტიური ლტოლვა განუსაზღვრელობისადმი, არც გაურკვეველი რწმენა, საიდუმლო ძაფები, რომელიც მიემართება ადამიანის ინდივიდუალური სულიდან იქეთა ქვეყანაში“ (ვ. კოგანი).

არა ცოცხალ ადამიანზე იყო მაშინ ლაპარაკი ა. მაშაშვილის ლექსებში, არამედ რალაც ზემიწიერ გმირზე, რომელიც ერთად-ერთი ახდენდა რევოლიუციას, რომელიც ისწრაფოდა ცისაკენ (მზისაკენ):

მსურს მზესთან მოვედე, ბევრის მნახელი,
მესმის ფოლადის ფოჭოების მტვრევა,
ცეცხლად იქცევა აულის ნალვლი,
გულში ნაღვლი ველარ ეტევა.
ცოდების ზიჯვა ბედს დაეკისრე,
ფეხზე სისბლიანს ვატარებ წულგებს,
თვალდახუჭული ავისერი ისრებს
და მსხვერპლი მსხვერპლზე აღარ მაწუხებს.

(„მზეზე“).

დღეს რევოლუციონურ მოვლენის ასეთი აღწერა მტკიცედ
რედ მოგვეჩვენება, მაგრამ იმ დროს სრულიად ბუნებრივი იყო, ან
გამოხატავდა რევოლუციის მონაწილეთა ქეშმარიტ განსჯებს.

კოსმიზმის გვერდით იღვა მსოფლიო რევოლუციის
ვის მტკიცე რწმენა, ცნობა უკანასკნელის, როგორც
დაქტის (იხ. მისი „საზღვართან“). აღფრთოვანებული პოეტი მოუ-
წოდებს ამხანაგებს კომუნის ქალაქისაკენ, პუტიკრობს, რა, რომ მისი
შენება სულ მალე დასრულდება: „გული შევებით მიღელავს, მგონი,
მალე ვიხილავთ ახალ ქვეყნის გაღვნიებს“ („გ ა ქ ა ნ ე ბ ა“).

ქალაქის და სოფლის თემას ა. მაშაშვილის შემოქმედებაში
მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ თემამ მის შემოქმედებაში სულ
სხვა გაშუქება მიიღო, ვიდრე მაგალითად, სიმბოლისტების და ფუ-
ტურისტების, ან გლეხ-მწერლობის პოეზიაში.

როგორც ვიცი, პროლეტარული პოეზია ქალაქის პირმშო
შვილია, მის წიაღში აქვს ამ დიდ რევოლუციონურ მოძრაობას და-
საბამი:

როცა ქალაქს აბრეებს საყვირების ზუზუნი,
შრომით შეზარბოვდება ვნება დაუდგვარი,
ქარხანაში შევდივარ ჯერ ნორჩი, უსუსური,
ჩამაფიქრებს მანქანა, ამ დროს ლანდი ვერპარნის,
ზეთის ქილას გამოიწვდის—ეს შენ უნდა დალიო
ქარხნის საბედისწეროდ, საყვარელი ალიო.

(„ელვედანი“)

პროლეტარულ პოეზიაში, და მათ შორის ა. მაშაშვილის შე-
მოქმედებაში, სრულიად არ არის ის შიში „ქალაქ-ვამპირისადმი“,
რომელსაც ადგილი აქვს სიმბოლისტურ პოეზიაში. პროლეტარული
პოეტის წარმოდგენით, ქალაქი ახალი ქვეყნის მშენებლობის სიმბო-
ლოა. მიმართავს რა პოეტი ლამეს, ეუბნება:

არა, ქალაქი შენი „მტერია“
ქალაქი გებრძვის ელექტრო-სხივით...
ის მუდამ ბრძოლის, შრომის ლიდერია...
გებრძვის ქარხნებით და დინამოთი...

(„ქალაქი ლამით“).

ა. მაშაშვილისათვის სოფელი ჯერ კიდევ „ყრუა“, ის ჯერ კი-
დეც ჩამორჩენილობის ბურუსშია გახვეული; მისი ხსნა შეიძლება

მხოლოდ ქალაქის შექრით მასში, მისი ახლად გადახალისებით, მასში ელექტროს და ინდუსტრიის შენათებით:

ერთხელ ქალაქი გასწვევტს არტახებს,
ელექტრო-კაღებს გადმოღერის სოფლად,
გასწმენდს, შეგახევს შებლზე ცივ თალხებს
და სასიკადილოთ სხივთ ლახვარი ჰვარტლიან გულზე შენც დაგვსობა.

(„ქალაქი ლამით“)

ამგვარად, პროლეტარულ პოეტ ა. მაშაშვილს ქალაქის და სოფლის დაკავშირება ესმის, როგორც ამ უკანასკნელის ინდუსტრიალიზაციის გზით წასვლა, რაც მოსპობს მასში გამეფებულ „ბრმა“ ქობებს და ინდივიდუალიზმს.

ზემომოყვანილი ლექსები ეკუთვნის უმთავრესად 1921—23 წლებს. საერთო წყობაში ისინი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც პროლეტარული რევოლუციის არაკონკრეტული, კოსმიური რომანტიზაცია.

ა. მაშაშვილის შემოქმედების ამ ხანის ლექსები ფორმალურად თითქმის არცაა ორიგინალური. მასწავლებელთა ამორჩევაც წინასწარ განსაზღვრულია პოეტის პლანეტარული აღფრთოვანებით. ასეთი მასწავლებლებია ვერჰარნი და უიტმენი. სწორედ ეს პოეტები ხასიათდებიან კოსმიზმით, განყენებით. მაშაშვილიც მათ ჰბაძავს არა მარტო განწყობილებებში, მართალია, პროლეტარულ ნიადაგზე გადმოტანილში, არამედ რითმებშიც, რიტმიულობის ხერხშიც და სხვა.

იმის მიხედვით, რამდენადაც ცხოვრება განსაზღვრულად ჩამოყალიბებულ სახეს იღებს, მაშაშვილის ლექსებშიც ჩნდება უკვე ახალი განწყობილებანი, სხვა მოტივები. 1924 წლიდან მის ნაწერებში უკვე მოჩანს კონკრეტობა და ყოველდღიური ცხოვრების მგრძობელობა.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი საზოგადოებრივი გარდატეხის, ახალი ეპოქის საზღვარზე. ჩვენ ვცვლით ძირიან-ფესვიანად იმ წარმოებითს ურთიერთობას, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა ადამიანთა შორის. ა. მაშაშვილი ყველა თანამედროვე პოეტებთან შედარებით გაბედულად სახავს თავის შემოქმედებაში ამ გარდატეხას, მისწრაფებას ძველი ყოფიდან ახლისაკენ, ძველი კულტურიდან ახალი კულტურისაკენ.

პოეტი გრძნობს, რომ მტკერის მიდამოებში, სადაც წინედ „ბლაოდა ბარაბანი ღრენით, ჩხავილით“, დღეს უკვე ელექტროფი-

კაციის მტკიცე საძირკველია ჩაყრილი, დღეს მტკვარი უკვე იღმ
ქტროს ჩქერს აგზაენის ტფილისისაკენ:

მტკვარზე დაკიდეს მზის მ. გიერ ზაქესის გული
და მტკვარისტანი ვარსკვლავებით გადამლილია;
ზღვა-ბუზბარი ელვარედო ი ვის გუგუნით,
ყოველი დამე მზით დამწვარი დღის ნაწილია.



(„მტკვარისტანი“).

დღეს ჩვენი ცხოვრება ინდუსტრიალიზაციის გზაზეა დამდგარი.
დღეს მანქანა და ლითონია ცხოვრების წინსვლის ერთ-ერთი უპირვე-
ლესი პირობა. პოეზიაც, პოეტიც უნდა გამოეხმადუროს სინამდვილის
ამ მისწრაფებას.

დღეს პოეზიაც სუნთქავს ლითონით,
მოაქვს სოცოცხლე ახლ-ქართული,
გუგუნ ბს ქუჩა-ქვის ბარიტონი,
ზღვა მავთულბით გადახლართული.
გვინდა სირბილი თვალგახელებით,
მტკვარში ბომ იოთ ფუჯრი ტრიალებს...
რბიან, კვიან რკინის მერწყვი
და რკინის კვალებს თვლის მატჩანე.

(„მე და ბარათაშვილი“).

ეს სტრიქონები ამოწერილია ა. მაშაშვილის ერთ-ერთი უკანა-
სკენელი მხატვრული ფაქტიდან, „მე და ბარათაშვილი“-დან, რომელიც
შედარებით უფრო სრულყოფილ და დასრულებულ ნაწარმოებს წარ-
მოადგენს მის შემოქმედებაში. ეს პოემა ჯერ კიდევ დაუსრულებე-
ლია. პოემის ამ თავში პოეტი მთელ განწყობილებას იძლევა: აქ არის
დაპირისპირება წარსულთან, რომლითაც სურს დღესაც გამოკვება
ზოგიერთ მომაკვდავ პოეტს და აგრეთვე სურათები ჩვენი თანამე-
დროვე აღმშენებლობითი ეპოქის.

ა. მაშაშვილი თანამედროვე მებრძოლი ქალის სახესაც იძლევა.
როგორც ვიცით, პროლეტარული რევოლუციის წინა დროის პოე-
ტების დამახასიათებელი იყო საუბარი ფერმკრთალ, წვრილ, შავ-
თვალეზიან ქალზე, (ეს იყო ე. წ. დეკადენტური სტილის ქალი).
რომელიც განუწყვეტლივ ბრუნავდა სარკის წინ, ისევამდა სახეზე
ფერ-უმარულს და სხვ. ა. მაშაშვილის პოეზიაში დღეს ქალი სულ
სხვა განათებით მოჩანს. აქ ქალი წარმოდგენილია არა როგორც
„დეკადენტური სტილის“ მოვლენა, არამედ როგორც მებრძოლი,
როგორც ახალი ქვეყნის მშენებლობის აქტიური მუშაკი, რომელიც

რევოლუციის სადარაჯოზე მოწინავე რიგებშია, რომელიც მოვლ
დღეებს სარკის წინ ფერ-უმარულის ხმარებაში კი არ ატარებს, არ-
მედ ქალთა განყოფილებაში, საბჭოში და სხვა საზოგადოებრივ
წესებულებებში აქტიურ მუშაობაში.

1927 წელს ა. მაშაშვილმა რამდენიმე საყურადღებო მხატვრუ-
ლი ფაქტი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია
„მზათ ვართ ვიბრძოლოთ ოქტომბრიდან უკანასკნელ გამარჯვებამდე“
(პოემიდან „პოეტი კაპიტანი“). ამ ლექსში ა. მაშაშვილი იძლე-
ვა მებრძოლი პოეტის პათეტიურ განწყობილებას და პროლეტარუ-
ლი მწერლის მოქმედების პროგრამას. ლექსი განვითარებულია მაშა-
შვილისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ფართე ხაზებით და
აბსტრაქტული ტონით. ა. მაშაშვილის წარმოდგენით, ლექსს მხო-
ლოდ მაშინ აქვს ღირსება, დაჯერება, ხასიათი, როდესაც მისი შემ-
ქმნელი თვით იღებს აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვ-
რებაში, როგორც პოეტი, ბოლშევიკი და მოქალაქე.

რათ გინდა ლექსი
უდღეური და უფრადო,
საკუთარ ცის ქვეშ
სიმწრის ოფლში დღეს რომ გალაქე.
ადამიანთა მოძრაობას თუ არ ბელადობ;
როგორც პოეტი,
ბოლშევიკი
და მოქალაქე.

აღსანიშნავია, რომ ა. მაშაშვილი არ წარმოადგენს მთლიანად
მხატვრული მსოფლმხედველობის პოეტს, ამიტომ ხშირად აქვს მას
გარკვეული გადახრები, ხშირად ექცევა სრულიად საწინააღმდეგო
განწყობილებების გავლენის ქვეშ. ხასიათი ა. მაშაშვილის გადახრე-
ბისა სხვადასხვაგვარია: ხან პესიმისტური („გადახრა მთვარისაკენ“,
„ძველი მაზარა“, „გემზე“, „სამიკიტნოში“ და სხვა). ხან „ობიექტე-
ლურ-მემჩანური“ („დარიალი, „ავდარი“, „მანდარინა დაიარა“, „Tat-
la და სხვ.), ხან კი ნაციონალისტური („Chava“, „ლოდინში“) და
სხვ. ასეთი მოვლენა მეტად სახიფათოა პროლეტარული პოეტისა-
თვის; ყოველგვარი ბრძოლის და კოლიზიის გარეშე კლასიური აღ-
ლოს დაკარგვა (რაც ზოგ ლექსში უსათუოდ ახასიათებს ა. მაშა-
შვილს) უკვე ნიშნავს თავისი კლასისაგან დაშორებას. ასეთ სამწუ-
ხარო მოვლენას ა. მაშაშვილი უნდა უფრთხილდეს, მან ერთხელ და

საბოლოოდ თავი უნდა დააღწიოს ასეთ „ხელოვნურად მოხვეულ“ განწყობილებებს.

ახლა შევეხოთ, თუ როგორია ა. მაშაშვილის შემოქმედების ფორმალური მხარე.

ა. მაშაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი დოლოგიური ხერხია კოსმიური ჰიპერბოლიზმი, კოსმიზმი. ის თავის ლექსებში სახეებს აშენებს გრანდიოზულობის, განდიდების გზით. მის მიერ ხმარებულ სახეებში მოვლენა, საგანი ან მისი თვისება ჩვეულებრივზე უფრო მეტად გადაჭარბებულია.

ა. მაშაშვილის პოეტურ ლექსიკას ახასიათებს ხშირად ისეთი ჰიპერბოლური სიტყვების ხმარება, როგორცაა: მილიონები, ათასები, ბეგემოტი, ოკეანე, უძლეველი, გველუშაპი და სხვ. მაგრამ ამ ხასიათისას ის არა მარტო სიტყვებს ხმარობს, არამედ სახეებსაც და ეპიტეტებსაც: „გული, როგორც ვულკანი“, „ცეცხლის რაშები“, „ცეცხლის ფიქრთა ქარავენები“, „ცეცხლის არწივები“, „რკინის მესია“ და სხვ.

ამ სახის და ხასიათის ჰიპერბოლიზაცია ფართოდ არის მოხმარებული ა. მაშაშვილის ლექსებში: რევოლიუციას, პროლეტარიატს, მის ბრძოლას, თანამედროვე მებრძოლი ადამიანის შინაგან ბუნებას ის ასეთი საშვალელებით გადმოგვცემს: აქ ის ჩვეულებრივად დედამიწის საზღვრებიდან გამოდის და მიისწრაფის მთელი კოსმოსისაკენ: სიტყვიერ მასალებსაც მას აძლევს მთელი სამყარო, პლანეტები, შორეული სივრცეები და სხვ.

ა. მაშაშვილის შემოქმედების ასეთ ფორმალურ ხერხთა განვითარებაში რამდენიმე ძირითადი ხაზი უნდა აღინიშნოს:

1. გვიხატავს რა „ამ ქვეყნიურ“ მოვლენებს და საგნებს, — შესაღარებლად ის მიმართავს სახეებს, სიტყვებს კოსმოსისაკენ:

გახედეთ: მტკვარი დამტვრეული მორბის ხროტინით,
ზაქს მზედარო, ევამლის ცოდნ ტყდება რკინები,
დამე მუხლებში იღუნება ბ გემოტივით
და იკბინება ვარსკვლავების თეთრი კბილებით...
გახედე, ზაქს: წაიკითხე მზის დაბადება
და ვარსკვლავებით დაწერილი ევამლის დროებები.

(„მტკვარის ტანი“).

ან კიდევ: „ო, რამდენ ღამეს ვარსკვლავების ძუძუ მოსწურო“,
„მზე, როგორც ღუზა, ეშვებოდა სხივთა ჯაჭვებით და აჩერებდა ქვა-

ნახშირით დატვირთულ ლამეს“; ვარსკვლავთ კრილობას სველ ღრ-
ბლებით იხვევდა ლამე და მეც დამქონდა ვარსკვლავივით მკერდზე
კრილობა“; „დღეს ვხედავ მზესაც ღრუბელთ შორის წვეთწვეთად“
ზულს; ასე მგონია, კომუნარი საუბრობს ხალხში“; დეკლამაციული
ლებს ჩაძირულებს წყალში ქვებივით, წყლიდან ვარსკვლავები თვე-
ბივით იხედებიან“ და სხვ.

2. პოეტი თითქოს თვით იჭრება კოსმოსში და იქ ახდენს თა-
ვისებურ რევოლუციას; მებრძოლი პროლეტარიატი, აბოზოქრებუ-
ლი მშრომელი ხალხი მიისწრაფვის მნათობებზეც დაამყაროს საბჭოე-
ბის ხელისუფლება:

აეალთ „ნებტუნზე“,
ხალხის ლოდინი და
ალტაცება...
მოვა ნებტუნის
დელტატი,
გავაცნობთ მიწის
ცხელ პოლიღსებს:
... მოსკოვს და ტფილისს,
ბერლინს, ინდოეთს.
დავაჯილდოებთ
და თან გავატანთ
კომუნიზმის პროკლამაციებს.

(„ქალაქი ღამით“).

ა. მაშაშვილის შემოქმედების მეორე დამახასიათებელი ეიდო-
ლოგიური ხერხია, თუ შეიძლება ასე გამოითქვას, — ინდუსტრი-
ალიზმი. ეს არის სახეების და მეტაფორების შექმნა ისეთი სი-
ტყვიებით და წარმოდგენებით, რომელიც დაკავშირებულია წარმოე-
ბასთან, ინდუსტრიასთან, ქარხანა-ფაბრიკასთან. მაშაშვილი ხშირად
ლაპარაკობს მათ შესახებ: ლექსიკონს, სახეებს და საერთოდ მასალას
თავის მხატვრულ შემოქმედებისათვის ის ხმარობს აგრეთვე ამ სფე-
როებიდან: „ჩქარია სუნთქვა, და ღვედივით დღენი გარბიან“, „კვამ-
ლის რონოდები მიღებს მოება“, „ფიქრთა მალარო“, „რკინის იდე-
ალები“, „კვამლის დროშები“, „ცეცხლის ეტლები“, „სუნთქვა მავ-
თულით“ და სხვ.

კოსმიზმის და ინდუსტრიალიზმის ეიდოლოგიური ხერხი უფ-
რო დამახასიათებელია ა. მაშაშვილისათვის, მაგრამ, რასაკვირველია
ამით არ ამოიწურება მხატვრული სახის, სიტყვის და ეპიტეტების

შემუშავების საქმე. აღსანიშნავია კიდევ ა. მაშაშვილის შემოქმედებაში ეიდოლოგიური ნატურალიზმი, ეს უკანახუნელი კონსენსუს იმას, რომ პოეტი მასალებს იღებს სოფლიდან, ბუნებიდან; ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებიდან, ატმოსფეროდან.

ასეთი ეიდოლოგიური ხერხი უშუალოდ უკავშირდება ნებრივ, სოფლურ თემებს, რომელსაც ა. მაშაშვილი ამუშავებს.

როგორც ვიცით, საერთოდ პროლეტარული პოეტების უმეტესობა ასე თუ ისე დაკავშირებულია სოფელთან, იქიდან იწყება მისი ცხოვრების სათავეები—ბავშობის წლებიდან. სოფელი მასზე დაუფიქრებლად შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, ის შორდება სოფელს, მაგრამ „სოფლური“ ელემენტები მის ფსიქიკაში საბოლოოდ მაინც არ ისპობა ასე ადვილად.

ა. მაშაშვილის შემოქმედებაში ასეთი პროცესის გასათვალისწინებლად გამოგვადგება „სონეტი დედას“ და „მოგონების მაგიერ დედას“. ამ ლექსებში პოეტი ამბობს, რომ მან დასტოვა თავისი სოფელი, თავისი წარსული, სადაც იყო ყვავილები და სიმწვანე, სადაც გაისმოდა „არეული სიმღერები ბაყაყ-გორდების“ და დაედევნა „ქალაქის ქარებს“, გაჰყვა „ქუჩების ცხელ რადიუსებს“, გაეცნო „წვიმებს და აედარს“.

მესმის... გიყვარდი... მაინც დაატოვე,
სოფლის ველური აედევნე ქალაქის ქარებს...
აქ შე, უგვარო, სხვა სახელში გადავიგვარე:
გავეყვ ქუჩების ცხელ რადიუსებს...
გავეცან წვიმებს, გავეცან აედარს...

(„მოგონების მაგიერ დედას“).

მაგრამ სოფლის დაეიწყება შედარებითია. ძველი „სული“ კიდევ არის დარჩენილი პოეტში, ის ქალაქად არის მოსული სოფლური „სიველურით“.

ქალაქის, ინდუსტრიის პოეტად გარდაქცეული ა. მაშაშვილი ზოგჯერ ბუნების ასპარეზს უბრუნდება და „ნატურალური“ სახეებით და სიტყვებით ამზეურებს თავის მხატვრულ განცდებს: „მთვარე“, „მწყემსივით წელში მოხრილი, ცაზე ღრუბლების ფარას მირეკავს“, „ფიქრების მტევანი“, „ღამე ჩამოწვა კამეჩივით მდინარის პირად“, „სმენა ნამგალივით ყურზე ჰკილია“, „მატარებელმაც ძროხასავით შორს დაიბლაგლა“, „ცეცხლის ჩიტები“, „სიცოცხლის ტრიფი“ და სხვა...

არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ე. წ. ფორმალურ გავლენას, რომელსაც უსათუოდ განიცდის ა. მაშაშვილი. მაგრამ, საერთოდ როგორც ცნობილია, „პოეტი არ იბადება შიშველ ფეფქონფუქსულ შველ მიწაზე“. არც ერთ ახალგაზრდა პოეტს არ შეუძლება დაეყრდნოს ში თავი და აღწიოს ამა თუ იმ მნიშვნელოვანი სკოლის და პოეტის გავლენას. ეს ისტორიულად აუცილებელი და განსაზღვრული მოვლენაა.

ა. მაშაშვილზე მისი პოეტური მოღვაწეობის პირველ პერიოდში გავლენას ახდენდნენ, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ე. ვერჰარნი და უ. უიტმანი, დღეს კი მასზე გავლენას ახდენს ვ. მაიაკოვსკი და სხვ. ამ უკანასკნელის აღფრთოვანებული ტემპი, მტკიცედ ჩამოქნილი რიტმი—მზამზარეული მასალა ა. მაშაშვილისათვის.

უფრო არსებითი მომენტი, რომლითაც ა. მაშაშვილი უახლოვდება ვ. მაიაკოვსკის,—ეს არის პოეტური გამოთქმის ორატორული დაყენება. მისი საყვარელი გამოთქმაა—გამოთქმა მიმართვის, გამოთქმა წამოძახების:

იცით, ამ ხმალს რა უნდა და ამ ხელში მაუხერს?
თქვენ, რომელსაც შორიდან ცოფვას აპატიებდით,
ნუ მიჩნევთ მის შებრალვებას, ნუ მიჩნევთ მია სიყვარულს,
მასაც სიყვდილს დავეწერ შერდზე ცხელი ტყვიებით.

(„მოდლაატე“).

მიუხედავად მგრძობელობისა და სინაზისა ა. მაშაშვილის ლექსებში ხშირად ვხვდებით ამასთანავე რიტორიულ, მხატვრულად დაუმუშავებელ და უგრძობ სტრიქონებს. ამ ნაკლის გამოსწორებას მან სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

ახლა საერთოდ დასკვნა.

ა. მაშაშვილის შემოქმედება ეს არის ახალგაზრდობის და აღფრთოვანების ტონი. სწორედ ასეთია მისი შინაარსი, მიუხედავად ზოგიერთი ჩავარდნებისა, რომელიც ხშირად შავ ლაქად მოჩანს მის პოეტურ მალღობებზე.

ა. მაშაშვილის მხატვრული ფაქტები—ეს არის „წიგნი“ კეშმარიტი პოეტის, რომელიც ნათლად და გარკვევით გრძობს თანამედროვე რევოლიუციონურ ცხოვრებას: მის სიხარულს, ბრძოლას, სიყვარულს, სინათლეს და სიმშვენიერეს.

ჩვენ გვჯერა, რომ ა. მაშაშვილი არ შეჩერდება უკვე მიღწეულზე. უფრო მეტი და საყურადღებო მხატვრული მიღწევები მან მომავალში უნდა მოგვცეს.

ინტერნაციონალური სოლიდარობისათვის

(პროლეტარულ მწერალთა საკავშირო გაერთიანების
საბჭოს პლენუმი).

ქართული
ლიტერატურის

ეხლახან დასრულებულ პროლეტარულ მწერალთა საკავშირო გაერთიანების საბჭოს პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იქ ფართოდ იდგა საკითხი იმ რესპუბლიკების ნაციონალური ლიტერატურის შესახებ, რომლებიც შედიან საბჭოთა კავშირში.

„ვოაპკ“-ის საბჭოს ამ პლენუმზე საფუძვლიანად დაისვა საკითხი იმის შესახებ თუ რა გზით და რა საშვალელებით მოხდეს საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებების ლიტერატურის ერთმანეთთან დაახლოება, ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის ლიტერატურის დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის გაცნობა.

საბჭოს პლენუმა მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა გამოიმუშავა ამ მეტად საყურადღებო პრობლემის სათანადოთ მოსაწესრიგებლად.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა: მოხსენება ლიტერატურული წლის შედეგების შესახებ (მომხ. ამხ. ვ. სუტირინი), მოხსენებები უკრაინის (მომხ. ამხ. ვ. კორიაკი), ბელორუსიის (მომხ. ამხ. ვეჩერი) და საქართველოს (მომხ. ამხ. ბ. ბუაჩიძე) ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ; აგრეთვე იდგა საკითხი თეატრის შესახებ (მომხ. ამხ. ვ. კირშონი).

ვ. კორიაკმა თავისი მოხსენება უკრაინის ლიტერატურის შესახებ დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ „მე მგონია, რომ მხოლოდ ეხლანდელმა ჩვენმა პლენუმმა ისე მიუდგა ნაციონალურ ლიტერატურის საკითხს, რომ ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს აღარ სჭირდებათ დაიწყონ ცრემლებით, პატარა და დიდ ნაციონალურ შეურაცხყოფათა მთელი კოლექციის ჩამოთვლით. ყველა წინანდელ ყრილობებზე, კონფერენციებზე და პლენუმებზე თითქმის ყოველთვის ნაციონალურ ლიტერატურის წარმომადგენლების გამოსვლები იწყებოდა ყოველგვარ შეურაცხყოფათა ჩამოთვლით, ერთი სიტყვით იერიშებით „ველიკოდერჟავნულ“ შოვინიზმის წინააღმდეგ. ამ პლენუმზე კი სულ სხვა განწყობილება სუფევს.“ შემდეგ მომხსენებელი ეხება იმ მიმართულებას უკრაინაში, რომელსაც ეწოდება „ეფრემოვშინი“, ვინაიდან მას მეთაურობს აკადემიკოსი ეფრემოვი. ამ ჯგუფის ამოცანა ნაციონა-

ლური იდეის თვალსაზრისით მდგომარეობს იმაში, რომ თუ ლიტერატურის განვითარებას, გადაიბიროს თავის მხარეზე ნიჭიერი მელიც კი გამოჩნდება დღეს, და მეორე მხრივ, აღზარდოს მხარეებში დობა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ისე, რომ ისინი სთვლიდნენ ლიტერატურას სრულიად განმარტოებულ სფეროთ, რომელიც მტკიცედ იქნება დაკავშირებული უკრაინის საზოგადოებრიობასთან, ე. ი. — ეფრემოვის უკრაინასთან. რას წარმოადგენს თავისთავად „ეფრემოვიშჩინა“? — ის სრულიად უარყოფს უკრაინელისათვის შესაძლებლობას იყოს კომუნისტი — შენ ან უკრაინელი ხარ ან კომუნისტი...

ეფრემოვი თვით სდუმს, მან მიიღო უკრაინის გლეხობის დამცველის სახე, ბელადის პოზა, მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მის ლოზუნგს ატარებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

თვითმყოფად თავისუფალ ხელოვნების ლოზუნგის ქვეშ ეფრემოვის მიმდევრებმა შესძლეს მნიშვნელოვანი ჯგუფის გაერთიანება, მათ შორის წინაღ მემარცხენე მიმართულებებისადმი მიმდევართაგანაც. ეს ჯგუფი ფაქტიურად წარმოადგენს მემარჯვენე მიმართულებას ლიტერატურაში. მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ ჯგუფის მიმდევრები თავიანთ შემოქმედებისათვის თემებათ ირჩევენ არა აბსტრაქტიულ მოვლენებს, არამედ, პირიქით, ლაპარაკობენ კომუნისტის შესახებ, სწერენ მუშათა ცხოვრებაზე, გვიჩვენებენ გლეხებს და სხვ. შემდეგ ამხ. კორიაკი შეეხო უკრაინის პროლეტარული ლიტერატურის განვითარებას და წარმატებას.

ბელორუსის ლიტერატურის შესახებ ამხ. ვეჩერმა შემდეგი აღნიშნა: როგორც საბჭოთა ქვეყნის სხვა რესპუბლიკებში, ისევე ბელორუსიის ლიტერატურაშიაც ადგილი აქვს გაძლიერებულ კლასობრივ ბრძოლას. ბელორუსიაშიაც არიან აგრეთვე მიმართულებანი, რომლებიც მიისწრაფიან იქითკენ, რომ დაამტკიცონ: რევოლუციონური კალენდარული დღეები უნდა ვიანგარიშოთ არა ოქტომბრის რევოლუციიდან, არამედ საბჭოთა ბელორუსიის დაარსებიდან. ბელორუსიაში ემჩნევა ნაციონალისტური იდეების შეპარება თვით პროლეტარულ მწერალთა წრეშიც. პროლეტარულ მწერლების სახელწოდებას ბელორუსიაში გვეცილებიან ისინი, რომლებსაც თავისი დასაწყისი მოჰყავთ „ნაშე ნივოს“ დროიდან — ე. ი. გაზეთ „ნაშე ნივოდან“, რომელიც გამოდიოდა 1906 წ. ამ გაზეთმა მართალია, ხელი შეუწყო მრავალ ცნობილ ბელორუს მწერლების გამოჩენას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა პროლეტარულს, არამედ განსაზღვრულ ნაროდნიკულ — გლეხურ იდეოლოგიისა.

ბელორუსიაში, სადაც მრავალი ეროვნებაა, კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან ერთად, მემარჯვენე ელემენტები აქაც აწინამოყბენ გაძლიერებულ შემოტევას. რამოდენიმე მწერალი, რომელიც წინააღმდეგობას აწინააღმდეგებდა თავიანთ ნაწარმოებში პროლეტარულ ხასიათს, მათთან გადაუხვია და მემარჯვენეთა ბანაკში მოექცა. მათგან მხოლოდ მან გარემოებას, რომ „პოლოდნიაკს“ ჩამოშორდა რამდენიმე მწერალი, ამითვე აიხსნება ისიც, რომ ისეთი ლიტერატურული ჯგუფები, როგორცაა „პოლიმია“ და „უზეში“ თანდათან აჩენენ თავიანთ სახეს, რომელიც ყოველ შემთხვევაში არ არის ჩვენი, საბჭოთა.

ერთადერთ სასიცოცხლო და საიმედო ძალას ბელორუსიაში დღეს წარმოადგენს პროლეტარული ლიტერატურა, რომელიც ხარისხობრივათა და რაოდენობითაც იზრდება. პროლეტარული მწერლები ქმნიან დღეს „ამინდს“ ბელორუსიის ლიტერატურაში.


საქართველოს ლიტერატურის შესახებ მოხსენება წაიკითხა აბ. ბ. ბუაჩიძემ. მან თავისი მოხსენება დაიწყო იმის აღნიშვნით თუ როგორ შეხვდა ქართველი მწერლები საქართველოს გასაბჭოებას პირველ ხანებში და შემდეგ როგორ მოხდა მის მნიშვნელოვან ნაწილში თანდათანობითი გარდატეხა.

კლასიურ ბრძოლას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა ქვეყნებში პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტზე, სათანადო გამოხატულებას პოულობს ლიტერატურაშიც, ხელოვნებაშიც, მწერალთა ფენებშიც ადგილი აქვს კლასობრივ-იდეოლოგიურ დაჯგუფებებს.

ქართულ მწერლობაში დაახლოებით ასეთი ძალთა განწყობილებათა შექმნილი: 1) არის ფენა ბურჟუაზიულ-ფეოდალური მწერლებისა 2) თანამგზავრთა და 3) პროლეტარული მწერლობა.

ბურჟუაზიულ-ფეოდალურ მწერლობას ახასიათებს: თანამედროვეობის მიუღებლობა, ისტორიზმი, წარსულით ვატაცება, ნაციონალიზმი, მისტიციზმი და სხვ. ამ ფენის მწერლები თანამედროვეობას უმასპინძლდებიან „ტაბუთი“, „ჯამუთი“, „დამპატიყები“, „შავი კლდეი“, „ფალესტრათი“ და სხვ.

თანამგზავრთა შორის უნდა გავარჩიოთ ორი მიმდინარეობა: ერთი პირობითი თანამგზავრები, რომლებიც ჩვენთვის მისაღებ პოლიტიკურ დეკლარაციებს იჭიბენ არ მიდიან და ნამდვილი თანამგზავრები. პირველთათვის დამახასიათებელია მხოლოდ დეკლარაციებით მიღება თანამედროვეობის, შემოქმედებაში კი უმეტეს შემთხვევაში რეაქციის წისქვილზე უსხამენ წყალს. ნამდვილი თანამგზავრები უფრო ორგანიულათ ლებულობენ ოქტომბრის დიად მონაპოვარს. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ეს თანამგზავრებიც იჩენენ მერყეობას.



თანამედროვე ქართული ლიტერატურის ცენტრში უსათუოდ სდგას პროლეტარული მწერლობა. პროლეტარული ლიტერატურა თანდათან მიემართება იმ დიდი მისიის შესრულებისაკენ, რომელიც მას აქვს დავალებული ისტორიულად. მომხსენებელი პროლეტარული ლიტერატურის ისტორიულ განვითარებას საქართველოში და აღნიშნავს იმ საფეხურებს, რომელიც მან განელო. თემატიკურად ჩვენი პროლეტარული მწერლები თანდათან მდიდრდებიან და მრავალფეროვანდებიან. ისინი არ იკეტებიან ვიწრო თემატიკაში. ფორმის სფეროშიაც პროლეტ-მწერლები ენერგიულად მუშაობენ და კიდევ აქვთ სათანადო მიღწევები. ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ ხანებში პროლეტ-მწერლები თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ პროზის სფეროს. მომხსენებელი უყურადღებოდ არ სტოვებს იმ გადახრებსაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს პროლეტარულ მწერლებში. აღნიშნავს ამ გადახრების გამომწვევ მიზეზებს და თუ როგორ დააღწიეს მას თანდათან თავი პროლეტ-მწერლებმა.

შემდეგ მომხსენებელი აყენებს მთელ რიგ ამოცანებს, რომელიც დღეს სდგას საერთოდ ლიტერატურის და კერძოდ პროლეტ-მწერლობის წინაშე.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ამხ. კარშონის მოხსენება თეატრის შესახებ:

მაყურებელთაგან უდიდესი ღტოლვა თეატრისადმი აუცილებლად ჩვენგან მოითხოვს მეტი ყურადღება მივაქციოთ იდეოლოგიური ფრონტის თეატრალურ ნაწილს. რა ძირითად მოვლენებს ვამჩნევთ დღეს თეატრის სფეროში? როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროებში, ისევე აქაც კლასიური ბრძოლა მწვავედება. სწარმოებს გაძლიერებული ბრძოლა ჩვენ მიერ დაპყრობილ პოზიციების წინააღმდეგ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტონი, ხასიათი თეატრის მემარჯვენე მოღვაწეებისა კრებებზე, დისკუტებზე შესამჩნევად შეიცვალა. აყენებენ დებულებებს, რომ რევოლუციონური პიესები ამცირებენ თეატრების მხატვრულ მნიშვნელობას.

მეტად სუსტია ჩვენი პოზიცია თეატრალურ კოლექტივებში. როგორც ირკვევა მსახიობებს შორის კომუნისტები მეტად მცირეა. ჩვენ არავითარ მუშაობას არ ვაწარმოებთ თეატრში მომუშავე სპეციალისტებს შორის. ჩვენ ვერ ვსარგებლობთ მსახიობთა შორის დაწყებული დიფერენციაციით და არ ვაერთიანებთ თეატრის ახალგაზრდა ძალებს მემარჯვენე ელემენტების წინააღმდეგ. მსახიობთა შორის არავითარი საზოგადოებრივი მუშაობა არ სწარმოებს. ადგილ-

კომები ხშირად ფიქტიურ ორგანიზაციას წარმოადგენენ. სამხატვრო საბჭოები, რომლებსაც შეუძლიათ იყვენ თეატრზე ზეგავლენის საშუალება, ფაქტიურად მთლიანად დირექტორების ხელშია.

უკეთესი მდგომარეობა არ არის შემცველი თეატრის მომხმარებლის საქმეშიაც. ამ სფეროში მომხსენებელი მდგომარეობას ახასიათებს, როგორც კატასტროფიულს. კონსერვატორია უცხო ელემენტების ხელშია. გან. სახ. კომ. ვერ ხელმძღვანელობს მას სათანადოთ.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებული როლის შესრულება ევალება საბჭოთა კრიტიკას. თეატრალური პრესის საშუალებით ჩვენ შეგვეძლო ენერგიული ზეგავლენა მოგვეხდინა იმ პროცესებზე, რომელსაც ადგილი აქვს თეატრში. სამწუხაროდ ჩვენი კრიტიკა ხასიათდება უკულტურობით, უცოდინარობით. ობივატელობა მოსჩანს ჩვენი ეურნალების ფურცლებიდან. არა რედაქციები ახდენენ მასალის კორექტივას და დალაგებას, არამედ მასალა ხელმძღვანელობს რედაქციებს.

ერთად-ერთი სასიხარულო და დადებითი რასაც ვამჩნევთ უანასკენელ ხანებში — მომხსენებლის აზრით ეს არის პროლეტარული დრამატურგიის უექველი წარმატება და წინსვლა. შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ჩვენ გავასწარით თანამგზავრებს.

ერთ-ერთ მიზეზად იმისა, რომ მდგომარეობა გართულდა თეატრალურ ფრონტზე — მომხსენებელს მიაჩნია თავისებური ლიბერალიზმი, გადაქარბებული მოთმენა, რომელსაც იჩენს მემარჯვენე ელემენტებისადმი ხელოვნების დაწესებულებები და მათი ხელმძღვანელები.

რა მოთხოვნები უყენებთ ჩვენ თეატრს? — კითხულობს — ამ. კირშონი.

თეატრი უნდა იყოს რეალისტური, ის სინამდვილეს უნდა ეხებოდეს და ამ სინამდვილის დიალექტიკას უნდა სახავდეს. წარმოდგენის საფუძველი უნდა იყოს პიესა. თეატრმა თავის ამოცანად უნდა დაისახოს — სახის, ხასიათის გაშლა და, დაბოლოს, თეატრი უნდა იყოს პოლიტიკურად და იდეოლოგიურად ახლო თანამედროვეასთან, რევოლიუციასთან, პროლეტარიატთან.

— შემოქმედებითი თვალსაზრისით ჩვენთან ყველაზე უფრო ახლოა მოსკოვის პირველი სამხატვრო თეატრი და ვახტანგოვის სახელობის თეატრი. ჩვენი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავია-

ხლოვით მოსკოვის სამხატვრო თეატრი იდეოლოგიის სფეროში უნდა ვებრძოლოთ მის აპოლიტიურობას შემოქმედებითი მეთოდებით. ჩვენ უნდა მივსცეთ ამ თეატრს რევოლიუციონური რეპერტუარი და მასთან ერთად ვიმუშაოთ, ვიმოქმედოთ მასზე და ვისწავლოთ მისი ყველაფერი ის რაც კარგი და მისაღებია ჩვენთვის.

რა ამოცანები სდგას პროლეტარული დრამატურგიის წინაშე? უნდა ვიმუშაოთ ცოცხალი ადამიანის სახის გაშლაზე, ამავე დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს ადამიანის ფსიქიკა, მისი არა მარტო შემეცნება, არამედ ქვეშემეცნებაც. საშიშროება, რომლის წინაშეც სდგას პროლეტარული დრამატურგია, ეს არის ვატაცება სქემატიზმით. უნდა ვაჩვენოთ ცოცხალი ადამიანი მთელი თავისი მრავალფეროვანებით. ჩვენ უნდა შევქმნათ ხასიათები, ტიპები და სხვ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ფაქტიური მასალა, რომელსაც მომხსენებელი ემყარებოდა იყო რუსეთის სინამდვილიდან ამოღებული და ისიც მხოლოდ მოსკოვის თეატრებიდან.

ყველა მოხსენებათა გარშემო გაიმართა ვაცხოველებული კამათი. რომელშიაც მონაწილეობა მიიღო უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, რუსეთის და სხვ. წარმომადგენლებმა.

„გოპაკ“-ის საბჭოს შემდეგი პლენუმი დაინიშნა მაისის შუა რიცხვებში, ტფილისში. ამ პლენუმზე მოსმენილი იქნება მოხსენებები საბჭოთა კავშირში შემავალ დანარჩენ რესპუბლიკების (რუსეთის, ადერბეიჯანის, სომხეთის და სხვ.) ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ.

პროლეტარულ მწერლობის დღიური

რა მსახირობა პროლეტარულ მწერალს

მუშებში ჯერ კიდევ შენახულია კაპიტალისტური საზოგადოების მრავალი ტრადიციული ფსიქოლოგია. მუშები აშენებენ ახალ საზოგადოებას, მაგრამ თვით არ ხევიან ახალ ადამიანებად, რომლებიც გასუფთავებული უნდა იყვნენ ძველი საზოგადოების სიბინძურისაგან. ისინი ჯერ კიდევ ღვანან მუზღებამდე ამ სიბინძურეში ლენინი (ტ. XVI, გვ. 22).

დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ამბავი, რომ პროლეტარული მწერალი არის პარტიის პოლიტიკური ხაზის გამგრძელებელი მხატვრულ ლიტერატურაში. ამის გამო მსოფლ-

მხედველობის საკითხი ხელოვნებაში, ლიტერატურაში უტრფეს
როლს თამაშობს. ისეთ ეპოქაში, როგორცაა წარმოადგენს თანამედ-
როვეობა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლმხედველობის სა-
კითხი ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი საკითხთაგანია. მართლაც
ტარული მწერალისათვის. როგორც სამართლიანად უნდა იყოს, ისევე
აგერბახი: „დღეს მწერალის მხატვრული მეთოდი არ შეიძლება გამო-
ცალკეებული იქნას მის მსოფლმხედველობიდან.“

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კომუნისტი, კომკავში-
რელი მწერალი პოლიტიკაში სრული ასა პროცენტით ატარებს
მარქსისტულ-ლენინისტურ მსოფლმხედველობას, მაგრამ, როდესაც ის
გადავა ლიტერატურის სფეროში, მაშინ კი მასში სრული 180 გრადუ-
სიანი შობრუნება ხდება: გამოდის ის მესჩანობის, ობივატელობის,
პესიმიზმის და სხვ. მკადაგებელი.

ყველას გვახსოვს ერთ დროს საქართველოს პროლეტარულ მწერ-
ლობაში გაძლიერებული პესიმიზმური, მესჩანური და ნაციონალის-
ტური ტონი.

რით უნდა ავხსნად ასეთი ზიგზაგი პოლიტიკიდან ლიტერატუ-
რაში გადასვლის დროს? საიდან მომდინარეობს პლანების ასეთი სრუ-
ლი არევა?

პოლიტიკურად თავისი თავის მიკუთვნება კომუნისტურ პარტი-
ისადმი ჯერ კიდევ არ იწვევს ავტომატიურად მთლიან ლენინურ
მარქსისტულ მსოფლმხედველობის გამომუშავებას. ეს უკანასკნელი
უფრო რთული და ღრმა არის. როგორც ლაპარაკობს ამხ. კოსტრო-
ვის: „მთლიანი მსოფლმხედველობა არ გვეძლევა უფასო დამატების
სახით პარტ-ბილეთისადმი, არამედ მას ვიძენთ ბრძოლით, ვიმუშა-
ვებთ წლების განმავლობაში შეგნებული და შეუდრეკელი მუშაობით.“
ამხ. კოსტროვის ეს სიტყვები უსათუოდ მართალია.

ძველი საზოგადოების, კაპიტალისტური წესწყობის ტრადიციე-
ბი ჯერ კიდევ მაგრად ექაჩება უკან კომუნისტს, კომკავშირელს და
საერთოდ მუშათა კლასს, აწვევებს მასში მესჩანის, ობივატელის,
ნაციონალისტის, დაცემული ადაშიანის განწყობილებებს. სწორედ
ასეთი მოვლენის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ლენინი იმ წერილში,
რამლის ციტატაც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოვიყვანედ. ეს
მოვლენა მით უმეტეს ითქვის მხატვრული სიტყვის სფეროში მომუ-
შავე პროლეტარული მწერლების შესახებ.

დღესაც, როდესაც გააფთრებული კლასთა ბრძოლის პირობებში
ვიმყოფებით, როდესაც მემარჯვენე-ოპორტიუნისტული ელემენტები

თვით პარტიასაც უტყვენ, რასაკვირველია, აუცილებელია მარქსისტულ-ლენინისტური მსოფლმხედველობით სრულად შეიარაღება

დღეს პროლეტარული მწერალი ლენინისტურ მსოფლმხედველობას უნდა ითვისებდეს არა მარტო წიგნებით, არამედ პრაქტიკულად ყოველისა პრაქტიკით. ცხოვრების პრაქტიკის გზით უნდა შედროდეს მის აზროვნებაში ეს დიდი მოძღვრება; პროლეტარული მწერალი პარტიულ-კომკავშირულ და საზოგადოებრივ მუშაობაში, სათანადოთ უნდა იმასჭვალებოდეს ამ მსოფლმხედველობით და შემდეგ ის უნდა გადმოქონდეს მხატვრულ ლიტერატურის სფეროშიაც.

პროლეტარულმა მწერალმა სათანადოთ უნდა გაამახვილოს თავისი მსოფლმხედველობა რევოლიუციის საღესავ ქვაზე!

პროლეტარულმა მწერალმა სრული ასი პროცენტით უნდა დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინისტურ მსოფლმხედველობას მხატვრული სიტყვის სფეროშიაც!

მეტი ყურადღება მსოფლმხედველობას!

შანი.

მარქსისტული კრიტიკის თვითკრიტიკა *)

უდავოა, რომ ქართული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკა ძლიერ მოიკოკლებს. არა ერთხელ აღნიშნულა რომ მხატვრული პროლეტარული კრიტიკა ვერ დგას თავის სიმაღლეზე. გასაკვირი აქ არაფერია: პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკა პროლეტარულ მწერლობაზე უფრო გვიან წარმოიშვა. ჩვენი კრიტიკოსები შედარებით ახალგაზრდები არიან.

ამ შენიშვნაში მე არ ვეხები ქართულ მხატვრულ კრიტიკას თავის „სიგრძე-სიგანით“, მინდა მხოლოდ კითხვის დაყენების სახით გამოვთქვა ჩემი აზრი ჩვენი კრიტიკის ერთი მტკივნეული მხარის შესახებ, რომელიც ეხება კრიტიკის სფეროში თვითკრიტიკის არ არსებობას. გამოდის ასე: რასაც ჩვენი კრიტიკოსები სწერენ, თითქოს ყველაფერი მართალი იყოს, თითქოს კრიტიკოსი არ ცდებოდეს, რომელიმე ჩვენი კრიტიკოსი გარჩეულა? ჩვენს პროლეტ-კრიტი-

*) დისკუსიის წესით. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია სხვა ამბ. გამოსთქვანთა თვითნატი მოსაზრებები ამ წერილში აღძრული საკითხის შესახებ.

რედაქცია.

კოსებს ამხ. ბუაჩიძეს და ქიქოძეს წიგნებიც აქვთ გამოცემული. კრიტიკა შესახებ სერიოზული ბიბლიოგრაფიაც კი არ დაწერილა.

რატომ ხდება ასე?—იმიტომ, რომ კრიტიკას არ ვაქცევთ სერიოზულ ყურადღებას.

მართალი იყო ერთი ახალგაზდა კრიტიკოსი ახასიათებდა ქართულ მხატვრულ კრიტიკას:

„ქართული კრიტიკა ქებისა, ან ლანძღვის სახელკრებს არ სცილდება. სიტყვათა უპრინციპო რახუნში ხორციელდება ჩვენი კრიტიკა და სხვ.“

ჩვენ გვეყავს პროლეტარული კრიტიკოსები, რომლებთა შორის ზოგიერთებს საკმაო მიღწევებიც აქვთ, მაგრამ არც ერთი მათგანის კრიტიკული ფაქტები არ არის სათანადოთ შეფასებული... გამოდის, რომ კრიტიკის სფეროში თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს.

ჩემის აზრით, ეს ასე არ არის მთლიანად.

ზემო-მოყვანილი სტრიქონების ავტორი ასე ახასიათებდა ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსებს:

„მწერალი სწერს, რეცენზენტი (ანუ კრიტიკოსი ს. ე.) აქებს ან აგინებს მას.“

მკითხველი—იგივე მწერალი კითხულობს თავის შესახებ. მწერალს მიაქვს თავისი ნაწარმოები რეცენზენტთან, რეცენზენტს აქვს მუდამ დამზადებული ტექსტი ბიბლიოგრაფიისა, ჩასვამს ახალი ავტორის გვარს, ნაწარმოების სახელს და მზადაა. მწერალიც მადლობას უხდის: მან წიგნი „თავის კაცს“ მიუტანა...

თუ ვინ არის „კრიტიკოსი თავის კაცი“, ან არიან თუ არა ასეთები, პროლეტარულ კრიტიკოსებს შორის, ამის შესახებ შემდეგ მოვილაპარაკებთ, ეხლა მე მინდა კვლავ შევჩერდე ჩვენი კრიტიკის თვითკრიტიკის საკითხზე.

რა არის საჭირო?

ჩვენი აზრით, საჭიროა პროლეტარული მხატვრული კრიტიკის „ქარცეცხლში“ გატარება. საჭიროა ყველა ჩვენი პროლეტ-კრიტიკოსების ნაწარმოებთა გარჩევა. საჭიროა კრიტიკის საღამოების მოწყობა და სხვა, რომ პარტიის დადგენილება კრიტიკის დანიშნულების შესახებ განხორციელებული იქნას...

რას ამბობს პარტია კრიტიკის შესახებ: „კრიტიკა წარმოადგენს ერთ-ერთ აღმზღელობითი იარაღს პარტიის ხელში. კომუნისტური კრიტიკა ერთი წუთითაც არ უნდა სთმობდეს კომუნისტური პოზიციებს, უკან არ უნდა იხევდეს პროლეტარულ იდეოლოგიისაგან. კო-

მუნიტურობა კრიტიკამ უნდა განდევნოს ლიტერატურული მუშაობის კილო. მხოლოდ მაშინ ამ კრიტიკას ექნება დიდი პოზიტიური მნიშვნელობა, როცა დაეყრდნობა თავის იდეურ უპირატესობას. მარქსისტულმა კრიტიკამ გაბედულად უნდა განდევნოს თავის წრიდან ყოველგვარი ფილი კომუნისტური ამპარტავენობა. მარქსისტულმა კრიტიკამ უნდა წამოაყენოს ლოზუნგი „ისწავლეთ“ და უკუაგდეთ ყოველგვარი მაკულატურა და უპასუხისმგებლობა თავის საკუთარ წრეში“. (კურსივი ყველგან ჩენია. ს. ე.).

კომუნისტური ამპარტავენობის განდევნას, სწავლისა და თვითკრიტიკის აუცილებლობას ჩენი კრიტიკოსები სამართლიანათ აღიარებენ, პროლეტარულ მწერლებისათვის. ცხადია, რომ პროლეტ-მწერლებათ კრიტიკოსებსაც ვთვლით და ის, რაც საჭიროა პროლეტმწერლისათვის, საჭირო არის პროლეტკრიტიკოსებისათვისაც იმ განსხვავებით, რომ თუ პოეტისათვის აუცილებელია ცოდნა, უფრო მეტი საჭირო არის ცოდნით აღჭურვა კრიტიკოსისათვის. თუ პრაქტიკულად როგორ უნდა სწარმოებდეს კრიტიკის სფეროში თვითკრიტიკა, ამის შესახებ საჭიროა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მე ვფიქრობ, ამ საკითხს ჩენი კრიტიკოსები და მწერლები არ დასტოვებენ უყურადღებოთ.

ს. ეული

ლიტერატურული „ოპივბატელშინის“ წინააღმდეგ

დიდი დავა წარმოებს ამჟამად რუსეთში სქელტანიანი მხატვრული ჟურნალების გარშემო; დაინტერესებულნი არიან იმის გამოკვევით თუ რას აძლევს სქელტანიანი ჟურნალი საბჭოთა ლიტერატურას, რა საზოგადოებრივი პოზიცია უჭირავს ამა თუ იმ ჟურნალს, რა იდეურ-მხატვრულ გეზს იძლევა ის და სხვ.

ირკვევა, რომ ჟურნალები მიღწევებთან ერთად მრავალ იდეოლოგიურ შეცდომას უშვებს. მათ ფურცლებზე ადგილი ეთმობა ხშირად იდეოლოგიურად საეჭვო ფაქტებს, რომ მრავალი ჟურნალი ლიტერატურაში კლასიური ბრძოლის მახინჯ რეციდივებს იძლევა და სხვ.

საბჭოთა სქელტანიანი ჟურნალების ხასიათის და საქმიანობის გამორკვევა უსათუოდ დროულია, ეს ნიშნავს ჩვენი ლიტერატურული სინამდვილის, ლიტერატურული ცხოვრების გათვალისწინებას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს იდეოლოგიური კონტრულ-მეცნიერული შემთხვევაში მხოლოდ სქელტანიან ჟურნალებს ეხება. საუკუნოვან საც არა ნაკლებ კონტროლს საჭიროებს ე. წ. საუწყებო ხასიათის ჟურნალები, სადაც ხშირად ლიტერატურის, საერთოდ კულტურის საკითხებზე ისეთ უპასუხისმგებლო წერილებს შეხვდებით, რომ მათში აშკარა გადაჯვარების, წვრილ-ბურჟუაზიული შემოტევის, მეშინური კაობის, ინტელიგენტური უნიადგობის მოვლენები გამოსჭვივის.

რუსეთში ცნობილია ამ მხრივ მრავალი ჟურნალი, მათ შორის „Красная Нива“, „Журнал для всех“ და სხვა, რომლების ფურცლებზე ხშირად თავის მანვე აზრებს ანვითარებს მრავალი ეკლექტიკოსი, ოპორტუნისტი და „გაპრიალებული სინამდვილის“ მოტრფიალე ხალხი.

ასეთ მოვლენას ჩვენშიც აქვს ადგილი. ამის საუკეთესო მაგალითია „განათლების მუშაკი“

თითქოს ამ საქმეში არ კმაროდა ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომელიც ისედაც საკმაო მასალას იძლევა ამ ხაზით, სოციალურად უმნიშვნელო და მბატრულად უფარგისი ფაქტების სახით.

აშკარაა, ჟურნალი „განათლების მუშაკი“, რომელიც ახალი სკოლის, ახალ მასწავლებელთა მასის კულტურულ მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს, ვერ დგას თავის სათანადო სიმალეზე და კლასიური ბრძოლის გამწვავებულ მომენტში იმის მაგიერ, რომ კულტურის ფრონტზე განსაკუთრებულ ბრძოლას აწარმოებდეს ყოველგვარი ანტიპროლეტარული, ობივატელური იდეების წინააღმდეგ, თვით უთმობს ასეთს მასალას ადგილს თ. ბეგიაშვილის წერილის სახით („ქართული მწერლობა 1928 წელში“).

იმ დროს, როდესაც მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა და პარტია, კომუნისტური პრესა კლასიური ბრძოლის გამწვავებაზე ლაპარაკობს და სასტიკ ბრძოლას აწარმოებს კლასიური მტრის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით სწორედ იდეოლოგიურ ფრონტს ებლაუტება, საბჭოთა ჟურნალის („განათლების მუშაკი“-ს) ფურცლებზე გამოსულა ოთახური იდილიის და მშვიდობიანობის ზოგადი „ლიტერატორი“ და ამ ბრძოლის მიჩქმალვას აპირებს.

მდგომარეობა მეტად კარიკატურულია. მაგრამ, აბა, ობივატელი რისი ობივატელია, თუ ხანდახან თავი არ წარმოიდგინა მშვიდობიანობის ნირვანაში.



„კრიტიკული“ კალმით შეიარაღებულ ობიექტებს — თ. ბეგიაშვილს განუზრახავს, 1928 წლის ქართული ლიტერატურული კრიტიკის განხილვა და შეფასება. ეს საქმე მეტად აკრძალავდა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ „კრიტიკოსი“ ობიექტელის თვალსაზრისით უყურებს და აფასებს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას.

თ. ბეგიაშვილს მთელი ქართული მწერლობა სიწყნარის და მშვიდობიანობის იდეალურ ქვეყნად წარმოუდგენია. ობიექტელური აზროვნება, რასაკვირველია, პეტს არ ითხოვს. პოლიტიკა, კლასიური ბრძოლა, იდეოლოგია — ზედმეტი ამბებია. სულ ერთია ხომ წარმოებს ქვეყნის „ელექტროფიკაცია, ტექნიკური გაუპოვებლობა“ რაც „მოსახლეობის ნიველიროვკას ხელს უწყობს“ და „კულტურულ სფეროშიც“ აღმათ „დაამყარებდნენ იგინივე იმ ნიველიროვკას“, რომელსაც თურმე ადგილი აქვს უკვე ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში.

კრიტიკიუმი თითქოს მონახულია, მაშასადამე, შეიძლება ლიტერატურული ცხოვრების და მისი სინამდვილის დახატვა.

შესაძლებელია ბეგიაშვილის ამ თვალსაზრისს ზოგიერთებმა უპირინციპობა, ეკლექტიზმი უწოდონ, მაგრამ ნურას უყავდავად თუ ქართული ლიტერატურის სინამდვილე ბეგიაშვილის წარმოდგენაში ასე იხატება? ის ინტელიგენტური, ლიბერალური „კრიტიკის“ წარმომადგენელია და, მაშასადამე, ამ ტრადიციულ გზას ვერ უღალატებს. თ. ბეგიაშვილი მართლაც არ ღალატობს ამ გზას, მაგრამ ის კი ვერ შეუგნია რომ ობიექტურად რეაქციონურ საქმეს აკეთებს, როცა ქართული ლიტერატურის რთულ და წინააღმდეგობით სავსე სინამდვილეს გაპრიალბულად (Пакированный) ფერებით ხატავს. იმ მწერლებს კი, რომელთაც ბევრი არაფერი უკლიათ რეაქციონერობამდგის კრიალა მწერლებად სახავს (მაგ. მ. ჯავახიშვილს).

აშკარაა, აქ საქმე გვაქვს უპასუხისმგებლო ლაყბობასთან, რომელსაც არა თუ მარქსისტული, არავიოარი მეთოდი არ გააჩნია ლიტერატურული მოვლენების შეფასების დროს.

დამახასიათებელია ისიც, რომ ტერმინი „ქართული ლიტერატურა“ გაგებულია ყოველგვარი სოციალური შინაარსის და კლასიურ დაჯგუფებათა გარეშე. თითქოს ის წარმოადგენდეს ერთ მთლიან „ნაციონალურ“ ორგანიზმს. ამიტომ სრულიად არაა, გასაკვირი, რომ მის მიერ ჩვენი ლიტერატურის სინამდვილის სოციალ-კლასიური დიფერენციაციის გარეშე შეფასება დიდ სიყალბეს წარმოადგენს.

მოვუსმინოთ თვით ამ კლასიური ჰარმონიის მოციქულსაც:

თავისი წერილის იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია ქართული მწერლობის იდეოლოგიურ მხარეზე, თ. ბეგიაშვილი წერს: „ერთი შესკ-

დვით ქართულ მწერლობაში თითქოს სხვადასხვაობა გაქრა. გვერდობრივი დარაზმვა მინიმუმამდე დავიდა. იდეოლოგიური წინააღმდეგობანი შენელდა და ქართველი მწერლები ერთ-ძალოვნად, და ერთხმად, ლოვანად ქნიან მუშურ-გლეხურ ლიტერატურას. უფრო მეტი მწერლები შეეფერება ეს სიმართლეს, ამის საწინააღმდეგოდ ყველაზე უკეთ მართო „არიფიონის“ გამოსვლა ლაპარაკობს, რომელმაც არა თუ წინააღმდეგობანი, არამედ აშკარა რეაქციონური დემონსტრაცია მოაწყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების სინამდვილეში. მაგრამ რა ქნას მშვიდობიანობის მოყვარულმა ბევიაშვილმა, თუ ეს მოვლენა შეუძნეველი რჩება მის გონებას!..

ფრიად კურობულია ბევიაშვილი, როცა წერს, თითქოს „ზღვარის დადება ძნელიც კია, თუ სად თავდება პროლეტარული პოეზია და სად იწყება თანამგზავრი იდეოლოგიურად.“

გააკვირველი აქ არაფერია. ჩვენს წინაშე ისევ ნაცნობი ობიექტელია, მაგრამ უფრო სასაცილო პოზაში ეს პატივცემული მოქალაქე ორი ბანაკის შენრიგებელ როლში გამოდის: „ისმება საკითხი, ჩვენს შორის ეხლა რად უნდა იყოს ორი ბანაკი.“

რით არ გავს ეს პატივცემული „კრიტიკოსი“, თავისი მოსაზრებებით ობიექტურად იმ კულაკს, რომელიც, ერთი მხრივ, თავს ესხმის კოლმეურნეობებს, გლეხკორებს. ებრძვის საბჭოთა წყობილებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანულ პოზას იღებს და კლასიური ბრძოლის მიჩქმალვის მიზნით აცხადებს: „Грех делить крестьян на кулаков, средняков и бедняков, мы все равны“, ან პირდაპირ აყენებს ლოზუნგს: „далой деление на классы“

რას ნიშნავს ბევიაშვილის მიერ ასეთი განცხადება, თითქოს ქართულ მწერლობაში მწერალთა სხვადასხვა ფენებს შორის „ზღვარის დადება“ შეუძლებელია?

ვინ უნდა დააბრმავოს მან ამით?

სად მალავს მწერალთა შორის მომხდარ იმ დიფერენციაციას, რომელიც ასე საუკეთესოდ გამოაგლავნა წარსულმა ლიტერატურულმა წელმა, როცა „არიფიონიდან“ დაწყებული და გათავებული მთელი ოცი მწერლების მონაცემებით ეს „ორი ბანაკი“ უფრო გაღრმავდა და დაცილდა ერთმანეთს!.

ბევიაშვილი უდავოდ დიდ შეურაცხოვას აყენებს მრავალ ქართველ მწერალს, როცა აცხადებს, თითქოს „1928 წლის მწერლობაში იშვიათად ლა შეხვდებით მისტიური ხასიათის ნაწერებს, მეტაფიზიკურ ძიებას, ბურჟუაზიული იდეოლოგიით დატვირთვას“. განა

დაეთანხმება მას ამაზე „ქრისტიანულ მისტიციზმის“ მოციქული კ. გამსახურდია? ხომ ტყუილად არ შეუწუხებია ამ მწერალს თავი, რომ გამოაქვეყნა „ახალი ევროპა“ დაწერა მოთხრობები „ქრისტე“ და „სხვა“ ტყუილად ხომ არაა განსაკუთრებულ ბრძანებას „გადახივილი, როცა ციკლებს წერს („შავი კლდე“) ზედმეტ ადამიანებზე. ხომ ტყუილად არ დაუწერია მას „დამპატიყე“, ხომ ტყუილად არა დგას ის ისევ „არიფიონის“ პოზიციაზე, ხომ ტყუილად არ დაუწერია გრ. რომაქიძეს „ფალესტრა“ და სხვა.

ასეთია ფაქტები, და ამას ვერსად გაექცევა მოქალაქე ბეგიაშვილი.


ბეგიაშვილი რომ მართლაც „შეურაცხყოფას“ აყენებს ქართველ მწერლებს, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ იგი წერს: „გასულ წელს არ დაწერილა არც ერთი პოემა, არც რომანი და არც ლიტერატურული შემოქმედების სხვა რომელიმე შემოქმედებითი სახე, რომელზედაც შეიძლებოდეს შეჩერება“. რად დაავიწყდა „კრიტიკოსს“ ისეთი ფაქტები როგორიცაა ფრ. ნაროუშვილის პოემა „ყოფა-ცხოვრება საბჭოთა სოფელში“, ს. ჩიქოვანის „ბედი — რესპუბლიკა“ ტ. ტაბიძის რიონ-პორტი“, ნ. მიწიშვილის „ეპოპეია“ და სხვ. ნუთუ ლიტერატურული წლის შეფასება იმას ნიშნავს, რომ დაივიწყო მნიშვნელოვანი და ილაპარაკო რაღაც კურიოზებზე, ვილაც თომაშვილის „მუშა ბოქლოძის-შვილისშვილის“ შესახებ და სხვა.

ბეგიაშვილს რომ ლიტერატურის დილეტანტური ცოდნა და ფილესტერული კურიოზები ახასიათებს, ამის შესახებ მისი, „ლიტერატურული საუბრები“ ლაპარაკობს. ის ხელს კიდებს ისეთ საქმეს, რომლის სათანადოდ გადაწყვეტისათვის მას ოდნავადაც არა აქვს უნარი და ცოდნა.

მაგრამ რას იზავთ, თუ ასეთია მაღალკვალიფიციური ინტელიგენციის ობივატელი წარმომადგენელი, რომელიც ვიწრო, „უჩიტლო“ ჰუმანიზმით შეთითხნილ „კრიტიკულ“ დიეტას გვიწერს და, სამწუხაროდ, მანეა, რამდენადაც „კრიტიკული კალმით“ არის შეიარაღებული.

ალექსანდრე ხულავა

ბიბლიოგრაფია

პატრი სამსონიძე: — „პირველი ქართული“ — გამომცემლობა „საგონი“, 83, 87, ფასი 40 კ. 

სამსონიძე (ქუთათელაძე) ქართული პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. ვინ არ იცნობს ამხ. სამსონიძის ლექსთა კრებულს: „ცეცხლის ხმები“ (23 წ.), რომელიც კომუნისტურ მოწოდებასავით ვრცელდებოდა საქართველოს ყოველ კუთხეში და ამით საბჭოთა საქმეს ხელს უწყობდა.

საქართველოს ოქტომბრის პირველ წლებში „ცეცხლის ხმებით“ ქართული პროლეტარული მწერლობა პუბლიცისტური რიტორიკიდან ლიტერატურულ გზაზე გამოდის და „დემოკრატიული“ მტვერისაგან იწმინდება.

პეტრე სამსონიძე დღესაც მუშაობს პოეზიაში, მაგრამ არა ისე ინტენსიურად და თვისებრივად, როგორც „ცეცხლის ხმების“ პერიოდში, რაც ერთის მხრივ იმიტაც აიხსნება, რომ უკანასკნელ წელს მან სერიოზულად დაიწყო მუშაობა მხატვრულ პროზის სფეროში და არც უშედეგოდ. მართალია, მის ბელეტრისტულ წარმოებაში შრომის ნაყოფიერება და მომჭირნეობის რეჟიმი სუსტადაა გატარებული მაგრამ მწერალს საერთოდ წინსვლა ეტყობა და თანდათანობით თავს აღწევს ფორმალურ ჩამორჩენილობას.

„პირველი ქართველის“ იდეოლოგიური ღირებულება მის მასალაში და მოტივებებში მდგომარეობს: ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია პროვინციაში, — აი სარეცენზიო ფაქტის თემატიური დიაპაზონი. მართალია, მოცემული მოთხრობის თემა უკვე ექსპლოატაცია ქმნილია მწერლების მიერ, მაგრამ მასში ღირებული, მთავარი და ეფექტიური ის არის რომ ცხრაას ხუთის რევოლუციონური მოძრაობა პროვინციაში ბავშვის შეგნებაშია გადატეხილი. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მე ქართულ ლიტერატურაში არ მეგულება არცერთი მოთხრობა, რომელიც 905 წლის რევოლუციონური ბრძოლის ფონზე იშლებოდეს და ისე სიყვარულით და მონდომებით იყოს დაწერილი, როგორც „პირველი ქართველი“. საერთოდ მოთხრობა რომანტიულადაა დამუშავებული, წარსული კლასიური ბრძოლის რომანტიკას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოთხრობა ავტორის სხვა პროზაულ ფაქტებთან შედარებით მოხდენილადაა გაკეთებული, მას ფორმალური რიგის უარყოფითი მხარეები ახასიათებს. ყოველ მნიშ.

ვნელოვან ხელოვანს მასალის მოცემაში თავისი ფორმები და მეთოდები, თავისი ტექნოლოგია აქვს, ტრადიციული პოეტის ვნით რომ ვთქვათ, თავისი სტილი. თუ ამ თვალსაზრისით მივიხედოთ სასმონიძის მოთხრობას „პირველი ქარტახილი“, ის ეფუძნება გეშოს ვერ მოგვეცემს.

ქართული მწერლობის მთავარ ნაკლს (სალიტერატურო ენის საკითხი) ვერც სასმონიძემ დააღწია თავი, მისი ენა კუთხურია. მოთხრობა ძალზე დატვირთულია „ზღაპრით“ (იხ. 7 და 8 თავი) და ძალზე მოიგებდა, რომ შიგ შაბლონურ ზღაპარს (ქალი — თავისუფლება, ტყის მეფე — თვითმპყრობელობა, მონადირე — რევოლუცია. კლასთა ბრძოლა „ქალის ძოწეული კაბისათვის“ ბრძოლა ყოფილა და სხვა.) და ავტორის ლირიკულ თავშეუკავებლობას ნაკლები ადგილი დათმობოდა. ბავშვების სჯა ბაასი ნაკლებად დამაჯერებელია, აქ ბავშური „გულუბრყვილობა“ სრულებით არა ჩანს და მოლაპარაკე ავტორმატებს გვანან.

გაცვეთილი ხერხია და ლიტერატურულად გაუმართლებელი, როდესაც მწერალი უარყოფით მოვლენას ან ტიპს ტენდენციურად ყოველმხრივ უარყოფითად იძლევა (მაგ. ავალიანი — „გრძელი და გაწითლებული ცხვირით...“) და დადებითს ყოველმხრივ დადებითად; მაგ. გენოსთანა პარმონიული და ორგანიზაციული საზოგადოებრივი ადამიანი არ არსებობდა და ჯერ არ არსებობს. ამიტომ ასეთი ხერხით გაკეთებული ამბავი ლიტერატურულად ნაკლებ დამაჯერებელია და რამოდენიმედ ყალბი.

შევხოთ კონკრეტულად „პირველი ქარტახილის“ სიტყვიერ მასალას, ფრაზის კონსტრუქციას, გამოთქმებს და სიტუაციებს:

1. ოდას ცეცხლი მოხვევოდა, ვით შეყვარებულს შეყვარებულნი.
2. ვეკითხები დედას და ხელებს ვუყვებ ძუძუებში.
3. ის ჩამოშორებოდა თავის ტოლ ამხანაგებს, ვით გვდი დაქრილი თავის ქარავენს)... მისი სახეც მზის ჩამავალ სხივთა ჩანჩქერზე გამოსჩანდა როგორც შაქარი... შველის ნუჯრის თვალებით გაცქეროდა შორს... გულშიღეუღლი იადონივით აცრემლებია თვალები შველის ნუჯრს...
4. ცუტას მეგობრები „ფერხებევით მოდებიან მინდვრის ყვავილნარს... დარბიან, კისკისებენ და ეთამაშებიან სიცოცხლეს და ოცნებას ვარდისფერს... აღბად აქროლებდა მას რაში სიყვარულის ვარდისფერ სივრცეში...“
5. მოვიდა საღამო (მშვიდობა თქვენს მობრძანებას! — ვ. ლ.) და აშენდისფერდა გარემო — ედემი... გიშრის ნამსხვრევები დაიბნა სივრცეში და აბლავდა, აყუთა სოფელი დაისის...

მ. — არა, ეს არის საღამო კოლხეთის; მყუდრო და დაუსაბამო, წყნარი და ჩემი, მომზიბლველად რომ გაუშლია თილისმის მკერდი და ქატივება მაზე ყველა აელვებულთ... ეს არის ედემი, ჩასვენებულთ ერთუბზე სკნელში ფიქრებს რომ აუხსნის აღვირს, თუ ლაგამს და ათამაშებს ყოველ არსს ზღაპრულ აღერსით და სხვ.

საკვირველია, საიდან ამოჰკრია პროლეტარული ოქტომბრის წინაღობინდელი იათფასიანი სენტიმენტალური სოველების ეს სიტყვიერი მასალა და ვადმოილო წინადადების შენების მანერა? ნუთუ დიდი ლიტერატურული გემოვნებაა საჭირო, რომ ჩვენი კულტურული მშენებლობის მიმდინარე პერიოდში ქალის სახე შეაქრის ნატებს არ შეადარო და „სიყვარულის“ ბაცილით გამოწვეული უბადრუკი ცრემლი „გულმილეული იაღონის“ ცრემლებს? ან საიდან აღმოაჩინა ამხ. სამსონიძემ, რომ ყველ აფერი ამ ქვეყნად ვარდისფერია: სიცოცხლეს დიდი ასოთი, ოცნებაც და სიყ...ვარულიც! ეს კი იმის ბრალია, რომ ავტორის მასალა რომანტიულ-სენტიმენტალური ტონებით აქვს მოცემული და მეორეს მხრივ ცოტას ფიქრობს წინადადების გამართვის კულტურაზე, მასალის ლიტერატურულ ორგანიზაციაში მოყვანაზე. რა „ფორმალური“ ლირებულება უნდა ქონდეს ჩვენს პრობებში ისეთ მოთხრობას, რომელიც ასეთი ძაფითაა შეკერილი და რაც გულს მოფხანს (თუნდაც მოცემული ამონაწერების წაკითხვით) „გასაბჭოებულ“ ობივტელს და რემინგტონზე მომუშავე ქალების ნაწილს!

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ვამცირებთ ამხ. სამსონიძეს, თვითკრიტიკა იმისათვის არსებობს, რომ ის რაციონალურად გამოვიყენოთ და თუ ასე მკაცრად მივუდგებით ამხ. პეტრე სამსონიძეს, იმიტომ რომ ის „ცეცხლის ხმების“ ავტორია და მისგან მეტს მოვითხოვთ.

სამსონიძის სისუსტე უმთავრესად „ტექნოლოგიური“ ხასიათისაა; ნელღ მასალას მოხმარებითი საგნად ვადამუშავება სჭირდება, ამაში კი, როგორც სხვა ჩვენი პროზაიკოსები, სამსონიძეც მოისუსტებს.

საერთოდ (მიმართებით და მოფიქრებით) კი სარეცენზიო მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია და ქართულ პროლეტარულ პროზაში საყურადღებო მოვლენაა.

ვ. ლუარსაშიძე.



ქართული
კომუნისტური

ხანდრო ული — „კომუნა საქართველო“

1929 წ. „შრომა“-ს გამოც.

ხშირად ხდება: შემუშავდება თუ არა შეხედულება, რომელიმე მწერალზე. შემდეგ არაფერს კდილობს ამ შეხედულებების რევიზიას იმისდამიხედვით, თუ რა შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებს ეს მწერალი ლიტერატურის მიმდინარე საფეხურზე.

ს. ეულის შესახებ ხშირად სწერენ, რომ ის პროლეტარული პოეზიის პიონერია. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ ის ლექსები, რომელიც მის შემოქმედების პირველ ეტაპს ეკუთვნის.

უდავო დებულებაა, რომ რამდენათ ცხოვრება წინ მიდის, რამდენად მასის კულტურული მოთხოვნილება ღრმავდება და ფართოვდება, იმდენად მწერლის შემოქმედებითი გზაც უნდა ვითარდებოდეს და ღრმავდებოდეს. მწერალი, რომელიც თავისი შემოქმედებით ვერ უპასუხებს არა თუ ეპოქის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებს, არამედ ყოველდღიურობის ამოცანებსაც, არ შეიძლება არ ჩაითვალოს თანადროულობისათვის ჩამორჩენილ მწერლათ.

როდესაც ს. ეულის შესახებ ამბობენ, რომ ის პროლეტარული პოეზიის პიონერია, ეს სრულებით არაფერს ლაპარაკობს პოეტის დღევანდელ შემოქმედების დასახასიათებლათ.

აქ პირველ მომენტთან ერთად საინტერესოა მეორეც, ს. ეულის თავის შემოქმედებაში საუკეთესოდ აერთიანებს ორივე მომენტს.

ს. ეულის შესახებ ჩვეულებრივად ამბობენ, ის ბრძოლის და შრომის პოეტია. ეს მართლაც ასეა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ის თავისი შემოქმედების ამ მთავარ საფუძველზე, თავისი შემოქმედების მთავარ თემასთან ერთად დღევანდელ საქირ-ბოროტო მასალასაც იღებს. ასეთია მისი უკანასკნელი ლექსები: „დღევანდელი“ „კომუნა საქართველო“ „ამბები წარსულიდან“ „ათი წელი“ და სხვა, სადაც მისთვის დამახასიათებელ ზოგად ბრძოლის განწყობილებებთან ერთად მოცემულია, დღევანდელი მოვლენების კონკრეტული ათვისება და მათი კომუნისტური — პროლეტარული გაშლა.

აღნიშნულ წიგნში მოთავსებულია ლექსები, სადაც კლასიკური ბრძოლის, სოციალისტური აღმშენებლობის, რევოლუციონური ანტიფორთოვანების მოტივებია მოცემული.

ს. ეულის ლექსები წინაღ მოისუსტებდა მხატვრული შესრულების მხრივ. ეს სავესებით არ ითქმის მის უკანასკნელ შემოქმედებულ ფაქტების შესახებ.

წიგნში კარგია ლექსები: „ფარული კრება“, „მლაშე ტბასთან“ და „განახლებული სოფელი“.

წიგნი კარგადაა გამოცემული, ფასიც არ არის ძვირი.

ა. ხ-გა

„ქართული მწიგნობა“ № 1—2 1929 წ.

ჩვენი მსხვილტანიანი ჟურნალების მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მათში არ თავსდება ცოცხალი საჭირობოტო მასალა, რომელიც მხატვრულ მიღწევებთან ერთად ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ბრძოლის და აღმშენებლობის, ახალი ყოფა-ცხოვრების საკითხების ითვისწინებდეს. ეს ნაკლი ახსიათებს არა თუ მართო ისეთი ტიპის ჟურნალს, როგორიც არის „ქართული მწერლობა“, რომლის ფუნქცია მხატვრულ-ლიტერატურულ ამოცანებით ისაზღვრება, არამედ „ჟურ. „დროშასაც“.

წარსულში „ქართული მწერლობა“ ეკლექტიურ ხასიათს ატარებდა და მრავალ იდეოლოგიურ კუროზებს ამკლავებდა, შავრამ მდგომარეობა არც დღესაა მნიშვნელოვანად გამოსწორებული, მთლიანად კურსი არც დღესაა აღებული იდეოლოგიურად მტკიცე და მხატვრულად გამძლე ორგანოსაკენ. თუ წარსულში ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდა მ. ჯავახიშვილის „შავი კლდე“, ქ. გამსახურდიას „ჯ ა მ უ“ და სხვა რეაქციონური ფაქტები, ჟურნალი არც დღესაა დაზღვეული მსგავსი მოვლენებისაგან. აბა რას ნიშნავს თუ არა სიყალბეს და იაფ-ფასიან საშუალებით იდეოლოგიურ „პასპორტის“ ძებნას ქ. გამსახურდიას ლექსი „ო და ზ ა ქ ე ს ს, ქ ა რ თ ლ ი ს ფ ა ლ ა ვ ა ნ ს.“ რად დასჭირდა ამ მწერალს ისეთი ოდის წერა, რომელიც გულუბრყვილობის და პოეტური უსუსურობის მეტს არაფეს ამკლავებს.

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილია გამსახურდიას ახალი მოთხრობა „ქოსა გახუ“. მოთხრობა, მართალია ჯერ არაა დასრუ-

ლებული, მაგრამ უკვე ეხლაც ცხადია, რომ ის თემატიკად მთავრდება
ენათესავება მის წარსულ მოთხოვნებს. კ. გამსახურდია ამ მოთხოვნაშიც
ისევე გაუზრბის თანამედროვე თემას, ჩვენი სოციალური უმცირესობის
შენებლობის გვირუკის პერიოდში ცხოვრების მიერ განხორციელებული
ავანტიურისტის, ვიღაც „ბნელი წარსულის მქონე“ ტაბუ სამუგეიას
ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

ცხადია, აქაც საქმე გვაქვს ზედმეტი ადამიანების ლიტერატურასთან.
მაგრამ გამსახურდიას მოღვაწეობა ზედმეტი ადამიანების
დახატვაში განსაკუთრებულია, რადგანაც ეს მისი შემოქმედების
ფსიხოლოგიური ტენდენციაა, რომელშიაც მკვლავნდება ავტორის სი-
ყვარული ფეოდალური საქართველოს, წარსულ ყოფა ცხოვრებისადმი
და მის რომანტიულ დროების ადამიანებისადმი. გამსახურდიას შე-
მოქმედება ამ წარსულ დროების მხატვრულ იდეალიზაციის გზით მი-
დის, რომლის შედეგად ვიღებთ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებებს, სა-
დაც მისტიციზმი, წვრილ-ბურჟუაზიული ესთეტიზმი მეგრულ ყალბ
დენდიზმთან შეხვედრულ ფსიხოლოგიურ სიციარიელემდე და სული-
ერ ავთიმყოფობამდეა დასული.

ასეთია ამ შემთხვევაში ეს მისი უკანასკნელი მოთხოვნა.

გარდა ამისა. ჟურნალში მოთავსებულია კ. ნადირაძის მოთ-
ხოვნა „ნადირობის დროს მოყოლილი ამბავი“. მოთხოვნა სუსტია,
როგორც შინაარსის, ისე მხატვრული შესრულების მხრივ. მაგრამ,
რაც მთავარია მოთხოვნაში ისევე არა ჩვენი დროის მასალაა.

რაც შეეხება ა. ბელიაშვილის პროზას „ერთი პოლიტიკური
პარტიის ისტორია“—საინტერესოა იმ მხრივ, რომ მაში მოცემულია
საქართველოს დამფუძნებელი კრების, ათასგვარი საექვო პარტიების
პოლიტიკური ვაქანალიის ხანა, როდესაც ყოველი ნაძირალა თავის
პარტიას აარსებდა. მოთხოვნის გვირი იაკინთე ლაშხი ამ ვაქან-
ალიის პატარა წარმომადგენელია თავისი პოლიტიკური პარტიით,
რომელსაც „ვახტანგ გორგასლანის პარტია“ ეწოდება. მოთხოვნა
მხატვრული სატირაა, მენშევიკური ეპოქის წვრილ-ფეხა პოლიტიკო-
სტუმბე. დაწერილია მახვილად და საინტერესოდ.

პოეზიის განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ცეც-
ხლაძის პოემა „ოთხი მაუზერი“-ს გაგრძელება. გრიგოლ ცეცხლაძე
ამ პოემით უსათუოდ ცოცხალ, რევოლიუციონურ მასალას იძლევა.
მხატვრულადაც პოემა უნაკლოდაა შესრულებული.

ჟურნალში საკმაოდ მრავლადაა მოთავსებული წერილები, მაგრამ
ისინი უმეტესად შემთხვევითი და უსისტემო ხასიათისაა.

ჟურნალში ყურადღებას იქცევს ორი წერილი. ს. ამბროსოვს
„შხატვრული გემოვნების სოციოლოგიის საკითხები“ და ლ. ასათიანის
„ქართული ლიტერატურა დღეს“. უკანასკნელი ნ. მიწიშვილის
„ეპოპეიას“ კრიტიკული შეფასებაა. ავტორის აზრით, „ეპოპეია“
მატიური და საყურადღებო მოვლენაა ნიჰილიზარეზ მტკიცე ქართულ
ლიტერატურულ ცხოვრებაში. ეს ასეა, მაგრამ იგი სიპტომატიურია
მიწიშვილის შემოქმედებისათვის და არა მთლიანად მთელ ქართულ
მწერლობისათვის, რომელიც მეტ წილად ჯერ კიდევ უმცირეს წინა-
აღმდეგობის გზით მიდის.

აღ. ხულავა.

ა. გრიბოდოვი „ვაი ჭკუისაგან“. კომედია 4 მოქმედე-
ბად. თარგმანი განდევილისა. სახელგამი. 1929 წ.
ფასი—1 მან. 30 კაპ.

ა. გრიბოდოვის „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც ელახან გამოსცა
ჩვენმა სახელგამმა, რუსეთის ლიტერატურაში ერთ ერთი საყურადღე-
ბო შხატვრულ—საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა.

ამ კომედიაში დასურათებულია მეცხრამეტე საუკუნის პირველი
ნახევრის რუსეთის საზოგადოება. ამ საზოგადოებაში მთავარ გმირებს
წარმოადგენდნენ:

ფამუსოვი—დამდაბლებული, უსინდისო, ადამიანი, მტერი
თავისუფალი აზროვნების;

სკალოზუბი—სამხედრო წრის წარმოდგენელი, რომელსაც
ყოველგვარ ბოროტების წყაროდ მიაჩნია წიგნი, ამიტომ მოითხოვს
ყველა წიგნების ერთად თავმოყრას და დაწვას. ის ყოველგვარ უბე-
დურებათაგან თავის დაღწევის საშუალებათ სთვლიდა სამხედრო
ვარჯიშობას;

მოლჩანინი—„ზომიერების და წესიერების“ გმირი, მლიქვნე-
ლი მშიშარა, ფამუსოვის საყვარელი კაცი;

რეპეტოლოვი—ლოთი და მოლაყბე;

ფამუსოვის ქალიშვილი სოფიო, რომელსაც არ აკლია
ქაუ და გულწრფელობა, მაგრამ გაფუჭებულია წრისა და აღზრდის
წესების მიერ;

და, დაბოლოს ჩა ც კ ი, რომელიც ცხარე სიტყვებით ამბავს ამ საზოგადოების სიბეცეს, დაცემულობას, ქარაფშუტობას და სხვ. მის სიტყვებში ა. გრიბოედოვმა გამოსახა თავისი ზიზღე და წინააღმდეგობა და საზოგადოებისადმი...

არაა გასაკვირი ამის გამო, ის გარემოება, რომ როდესაც გრიბოედოვის „ვაი ქუჩისაგან“, რომელიც ვრცელდებოდა ჯერ კიდევ ხელთნაწირის სახით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და საზოგადოება აუჯანყდა ავტორს. გრიბოედოვს ასმენდენ მთავრობას, „რევოლიუციონერობას“ აბრალებდენ მას. მოწინავე ახალგაზრდობა კი აღკურთვანებით ხედებოდა ამ კომედიას. გრიბოედოვი იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავისი მტრებისათვისაც და ამიტომ რამდენჯერმე შეაკეთა და შეასწორა მკვეთრი ადგილები თავის კომედიაში.

ქართულ ენაზე „ვაი ქუჩისაგან“ რამოდენიმეჯერ ითარგმნა.

სახელგამის გამოცემას წამძღვარებული აქვს რ. კალაძის წინასიტყვაობა.

ფასი მეტად ძვირია.

ჯ ა ნ ი.

მ რ ო ნ ი კ ა.

პროლეტ-მწერლები პროვინციებში. ფოთის პარტიული კომიტეტის ინიციატივით ეწყობა პროლეტარული მწერლობის კვირეული, რომელიც გასტანს 18 მარტიდან 25 მარტამდე. ჩატარებული იქნება: მოხსენება „საბჭოთა კავშირის თანამედროვე ლიტერატურის შესახებ“ (მომხ. ბ. ბუაჩიძე), დისპუტი: „რას მოითხოვს პროლეტარული საზოგადოებრივობა თანამედროვე ლიტერატურისაგან“ (მომხ. ბ. ბუაჩიძე) და ლიტერატურული გასამართლება ფურ. „პროლეტარული მწერლობის“ (მომხ. შ. რადიანი). აგრეთვე ფოთის ყველა კლუბებში მოხდება პროლეტარული მწერლების გამოსვლა. ფოთიდან პროლეტ მწერლები გაემგზავრებიან ქუთაისში.

„ფოაპპიხ“ (პროლეტარულ მწერალთა საკავშირო გაერთიანება) საბჭოს მორიგი პლენუმი მოწვეული იქნება ტფილისში, 15 მაისს.

ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა გამგეობის პლენუმი დანიშნულია 5 მაისისათვის ბაქოში. დღის წესრიგში სდგას: 1) პროლეტარულ მწერალთა საკავ-

შირო გაეროიანების საბჭოს მუშაობის შესახებ (მომხ. ა. ფაღველი) 2) მოხსენება სომხეთის და აღერბეიჯანის ლიტერატურის შესახებ და 3) საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის მუშაობის შესახებ (მომხ. ს. თოდრია და შ. რადიანი).

საქართველოს მწერალთა დელეგაცია სომხეთში.
შ. სომხეთის მწერალთა კავშირის მოწვევით აპრილის შვებულებაში საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია აგზავნის 15 წევრისაგან შემდგარს დელეგაციას.

კ. კალაძის ახალი პიესა „როგორ“. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი 9 მარტს ქუთაისში დგამს კ. კალაძის ახალ რევოლუციონურ პიესას „როგორ“.

ე. პოლუმორდვინოვის ახალი წიგნი. სახელგამმა მიიღო გამოსაცემად და უკვე იბეჭდება ე. პოლუმორდვინოვის მოთხრობათა კრებული „შაშვილარ“.

შ. რადიანის „ლიტერატურული პორტრეტები“. სახელგამმა გამოსცა შ. რადიანის „ლიტერატურული პორტრეტები“ (წიგნი პირველი).

ს. ეულის „კომუნა-საქართველო“. „შრომამ“ გამოსცა ს. ეულის ლექსების წიგნი „კომუნა-საქართველო“.

თათბირი. „პროლეტარული მწერლობის“ რედაქცია მარტის ბოლო რიცხვებში იწვევს თანამშრომელთა ფართე თათბირს. დღის წესრიგში სდგას: ეუო. „პროლეტარული მწერლობის“ მომავალი მუშაობის შესახებ“ (მომხ. შ. რადიანი).

პ. სამსონიძის ახალი პიესა. პროლეტ-მწერალმა პ. სამსონიძემ დასწერა ახალი რევოლუციონური პიესა „შეთქმულბა“, რომელსაც დასადგმელად ამზადებს რუსთაველის თეატრი.

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გახტროლები. 3 აპრილიდან ტფილისის საოპერო თეატრში იწყება კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გახტროლები. ტფილისში თეატრი დარჩება ერთ თვეს. თეატრის რეპერტუარში შედის: ე. ტოლერის „პოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ“, ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნება“, კ. კალაძის „როგორ“, შ. რადიანის „კაკალ გულში“ და სხვ.

ა. გრიბოედოვის „ვაი ქკუისგან“. ა. გრიბოედოვის გარდაცვალებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად საქართველოს სახელგამმა გამოსცა მისი ცნობილი „ვაი ქკუისგან“. თარგმანი ეკუთვნის ეხლახან გარდაცვლილ მწერალ-ქალს განდევილს.



6. მიწიშვილის „ეპოპეია“. გამოვიდა ნ. მიწიშვილის ახალი წიგნი „ეპოპეია“ — ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან

საბჭოთა მწერლების საზეიმო საღამოებზე ველოს გასაბჭოების რვა წლის თავის აღსანიშნავად საბჭოთა მწერლების ფედერაციამ მბეჭდავთა კლუბში 25 თებერვალს მოაწყო დიდი საზეიმო ლიტერატურული საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა დაჯგუფებათა მწერლებმა. სიტყვები სთქვეს: ს. თოდრიამ, გრ. რომაქიძემ და ბ. ბუაჩიძემ.

„ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ სახელგამმა გამოსცა დავით კარიჭაშვილის შრომა „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“.

მომხსენება საქართველოს ლიტერატურის შესახებ. ამ მოკლე ხანში ხარკოვში მოწვეულია უკრაინის პროლეტარულ მწერალთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში სხვა საკითხთა შორის დგას მომხსენება საქართველოს ლიტერატურის შესახებ. მომხსენებლად მიწვეულია ბ. ბუაჩიძე.

რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საბჭოს პლენუმი. 15 აპრილისათვის მოსკოვში დანიშნულია რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის საბჭოს მორიგი პლენუმი. სხვა საკითხთა შორის პლენუმის დღის წესრიგში დგას საკითხი მხატვრული პლათფორმის შესახებ (მომხ. ი. ლიბედინსკი).

„**На рубеже востока**“. გამოვიდა და იყიდება, ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ორგანო „На рубеже востока“-ს მორიგი 1929 წლის მეორე ნომერი (№ 2), ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა: 1. ალაზანი „გზაში“ (ნაწყვეტი რომანიდან), 2. სულეიმან რუსტამ „დედა“ (ლექსი), 3. ა. სიტკოვსკი. „ტრინდი-ბრინდი“ (ლექსი). 4. ა. ბაკუნცი „იონატ მორჩ“ (რომანი), 5. ფრ. ნაროუშვილი „პოემა სხვადასხვა საკითხებზე, 6. ე. ნინოშვილი „ტარიელ მკლავაძე“, 7. პ. მაგერი „სანხრეთოსეთის მთებში“, 8. ვ. ვენიკოლოპოვი „გრიბოედოვი საქართველოში“, 9. * * * „ოვანეს თუმანიანი“, 10. ბ. ბუაჩიძე „ლიტერატურული შენიშვნები“ 11. ა. კ. „გიორგი იაკულოვი“, 12. შალვა რადიანი „მის ჯავახიშვილი“, 13. მ. მაზმანიანი „ეკლექტიზმის მოციქული“, 14. ცნობები ხელოვნების სხვადასხვა დარგების შესახებ და 15. ბიბლიოგრაფია.



ქართული
ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება

„პროლეტარული მწერლობის“ № 1-ში ბ. ბუაჩიძის მიერ
თავის წერილში მოყვანილ ს. ეულის ლექსში გაიპარა კორექ-
ტორული შეცდომა:

ს წ ე რ ი ა:

აქ
ათასი

უ ნ დ ა ი ყ ო ს:

აქვს
ათი

დაიბეჭდა და გამოვიდა:



ქართული
ბიბლიოთეკა

შტაბის რედაქცია

ლიტერატურული

კორექცია

წიგნი პირველი



სახელგამი

1929